

სალომე სანიკიძე

რუს მოგვითხრობენ  
ქველადმოსავლური ტექსტები  
ქველი აღმოსავლეთის შესახებ



თბილისი  
2008

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება ძველი აღმოსავლეთის საზოგადოებებს, ამ ხალხების ისტორიას, რელიგიას, ყოფას. ნაშრომში წარმოდგენილია ძველადმოსავლური ტექსტები სხვადასხვა რეგიონებიდან, დართულია კომენტარები და ტექსტები შედარებულია სხვადასხვა გამოცემებთან.

ტექსტები ქართულად ნათარგმნია ავტორის მიერ, რომელიც მიზნად ისახავს უძველესი წერილობითი წყაროების დახმარებით, რეკონსტრუქცია გაუკეთოს ძველადმოსავლური საზოგადოებების სხვადასხვა ასპექტს.

ნაშრომი განკუთვნილია ძველი აღმოსავლეთის ისტორიის მკვლევართა, კულტუროლოგთა და, საერთოდ, ძველი ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: **ეკა ავალიანი**

რეცენზენტები: **მაია ღამბაშიძე**  
**ნინო სამსონია**

## **შინაარსი**

თავი I. ქანაანურ რელიგიასთან და კულტთან დაკავშირებული ტექსტები.....	4
თავი II. სხვადასხვა შინაარსის ტექსტები ძველი აღმოსავლეთიდან .....	28
თავი III. ძველი აღთქმის წიგნები, როგორც ისტორიული წყარო.....	60

## თაზო I

### ძველი ახლო აღმოსავლური ტექსტები

#### შესავალი

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ძველადმოსავლური ტექსტების თარგმნა და შესაბამისი კომენტარების დართვა. ტექსტები ძირითადად შერჩეულია სხვადასხვა თემატიკის გათვალისწინებით. თარგმანის დროს ძირითადად ვეყრდნობოდით სხვადასხვა მასალებს, მათ შორის ცნობილი მეცნიერის ნაშრომებსა და უახლეს გამოცემებს – Pritchard, James B. *Ancient Near Eastern Texts*, Princeton, 1969, (ANET) გამოცემას, M. Chavalas (ed.), *Historical Sources in Translation, The Ancient Near East*, Oxford, 2006, გამოცემას. ტექსტების ერთი ნაწილი უკავშირდება ქანაანურ მითოლოგიასა და რელიგიას; ქანაანური კულტურა და რელიგია კი, თავის მხრივ, დაკავშირებულია ძველადმოსავლურ საზოგადოებებთან და, შესაბამისად, აირეკლავს იმ წარმოდგენებსა და მითოლოგიურ ტრადიციებს, რომლებიც ამ ისტორიულ-გეოგრაფიულ სივრცეში იყო გავრცელებული.

**ქანაანურ რელიგიასთან და კულტთან დაკავშირებული ტექსტები (მომდინარეობენ ძველი აღმოსავლეთის სხვადასხვა რეგიონიდან და თარიღდებიან გვიანი ბრინჯაოს პერიოდიდან - რკინის ხანამდე).**

ღვთაებათა სახელები და მათი შესაბამისი ეპითეტები წარმოდგენილია და შედარებულია შემდეგ გამოცემასთან: Pritchard, James B. *Ancient Near Eastern Texts*, Princeton, 1969, (ANET) 17-18, 249-250, გვ. 470; G. Leik, *A Dictionary of Ancient Near Eastern Mythology*, New York, 1998, გვ. 1-163.

ტექსტებში ქანაანური პანთეონის უზენაესი ღვთაებები განსხვავებულ კონტექსტში და ქვეკონტექსტში გვხვდებიან. შესაბამისად, სხვადასხვა ტექსტში განსხვავებული ეპითეტებით ჩნდებიან. ქვემოთ გთავაზობთ ქანაანური პანთეონის უზენაესი ღვთაებებისა და ქალღმერთებს ზოგად ნუსხას, რომლებიც ჩნდებიან ტექსტებ-

ში. მათთან კავშირში განვიხილავთ ცალკეულ ცნებებსა და ეპითეტებს.

### **ქალღმერთი ანათი**

დასავლურ სემიტური ქალღმერთია, რომლის კულტი ახლო აღმოსავლეთის დასავლეთ ტერიტორიებზე და მათ შორის ეგვიპტეში გავრცელებული იყო ძვ. წ. II ათასწლეულიდან - ელენისტურ პერიო-დამდე.

ცნობები ქალღმერთი ანათის შესახებ მომდინარეობს უგარი-თის ლურსმული ტექსტებიდან და ეგვიპტური ძეგლებიდან. ანათის ეპითეტები - “ქალწული ანათი” და “გამანადგურებელი”, მიუთითებს მის მსგავსებაზე ბაბილონელ ქალღმერთ იშთართან; ანათი წარმოადგენს ქალურობის, მშვენიერების გამოხატულებას, ასევე, ვნებიან საყვარელს და, ამავე დროს, იგი უღმობელი და სისხლის მოყვარული მეომარია. ანათს აქვს სხვა ეპითეტიც: “ხალხის ქვრივი”, რადგან ბაალის გარდაცვალების შემდეგ სწორედ ის ითავსებს მისი ქვრივის ფუნქციებს; აქედან გამომდინარე, აღსანიშნავია ანათსა და სამეგლოვიარო წეს-ჩვეულებებს შორის არსებული რიტუალური კავშირი.

**საომარი ეტლი შედარებულია ასტარტასა და ანათთან** (ტექსტი მომდინარეობს ეგვიპტიდან, ძვ. წ. XIII საუკუნე).

**“საომარი ეტლის”** თემა უკავშირდება ქალღმერთებს ასტარტასა და ანათს, რადგანაც ისინი ომისა და ბრძოლის კონტექსტში ჩნდებიან როგორც მებრძოლი ქალღმერთები. ამ თვალსაზრისით, ასტარტასა და ანათს აერთიანებს საბრძოლო ასპექტები. ისინი ხშირად ჩაენაცვლებოდნენ ერთმანეთს ფუნქციურად და თემატურადაც.

**“ანათი, ციური ქალბატონი, მბრძანებელი ყველა ღვთაებისა”** (ტექსტი მომდინარეობს ბეთ-შეანიდან, რამსეს III ხანა).

ანათი წარმოდგენილია როგორც ზეციური ქალბატონი, ეს ეპითეტი გვხვდება სხვა ძველამოსავლურ ქალღმერთებთან მი-

მართებაშიც. ტერმინი “მზრძანებელი” გულისხმობს მის უზენაეს ავტორიტეტს ციურ იერარქიაში.

### **ასტარტა/აშტაროტი (ათტარატი)**

დასავლურ სემიტური ქალღმერთია, რომელიც ასევე ცნობილი იყო “ზღვის ქალბატონ აშერას” სახელით. აშტარტას კულტს ძვ. წ. II ათასწლეულის შუა წლებიდან თაყვანს სცემდნენ მთელს ახლო აღმოსავლეთში (ეგვიპტის ჩათვლით); ბაბილონის ტექსტებში ის ჩნდება აშრატუს სახელით და დაქორწინებულია მომთაბარე ღვთაება ამურუსთან.

ძველ აღთქმაში აშტორეთი წარმოადგენს სიდონიელებისა და ფინიკიელების ღვთაებას. უგარითში მისი სახელი უკავშირდება შესაწირავ სიებს, რიტუალებსა და ღვთაებათა ჩამონათვალს, თუმცა საკუთარ სახელებში არასოდეს ჩნდება. ასტარტა არის “ყველა ღვთაების (მათ შორის ბაალის) დედა”, მაგრამ როგორც ჩანს, უპირატესობას ანიჭებს სხვა შვილებს, რადგან სახეზეა მისი მხიარულება ბაალის გარდაცვალების გამო. ასტარტას ეპითეთია ასევე “ღვთაებათა გამზრდელი”, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს მისი დედა-ქალღმერთის ფუნქციებზე.

**მინდვრის აშტორეთი** – ჩნდება უგარითულ ტექსტებში, ძვ. წ. XIV საუკუნე.

**ზღვის ქალბატონი ათირატი** - ჩნდება უგარითულ ტექსტებში, ძვ. წ. XIV საუკუნე.

**ზღვის ქალბატონი აშერა** - ჩნდება უგარითულ ტექსტებში, ძვ. წ. XIV საუკუნე.

**ღმერთების მშობელი დედა-ქალღმერთი** - ჩნდება უგარითულ ტექსტებში, ძვ. წ. XIV საუკუნე.

**ასტარტას წინასწარმეტყველი** – აღნიშნული ინფორმაცია ჩნდება ეგვიპტურ ტექსტებში, ძვ. წ. XIV საუკუნე.

**“ასტარტას მსგავსად ძღვევამოსილი ეტლში”** – აღნიშნული გამოთქმა ჩნდება ეგვიპტეში, თუთმოს IV პერიოდში.

**“ასტარტაჩნდება თავისი ბრწყინვალეობით”** - ასტარტას ტაძარი, ტექსტის ფრაგმენტი მომდინარეობს ანასტასი II პაპირუსიდან, ძვ. წ. XIII საუკუნე.

### **ბაალი**

რამდენიმე დასავლურ-სემიტური ღვთაების ტიტულია, რაც ნიშნავს “ბატონს, მბრძანებელს, მეუღლეს”. ამინდის, ტაროსის ღვთაებებს ჰქონდათ აღნიშნული სახელი, მათ ბევრი საერთო მახასიათებელი აერთიანებდათ. ამ ღვთაების ერთმანეთისგან განსხვავება შესაძლებელია მათი ინდივიდუალურ ქალაქებთან, თუ მთებთან დაკავშირებული ეპითეტებით, რადგან სწორედ აღნიშნული ადგილები წარმოადგენდნენ ამინდის ღვთაებათა ტრადიციულ საცხოვრისს. ბაალ-ზაფონი, მაგალითად ცხოვრობდა სირიაში, ტაძრები ჰქონდა უგარითში და, ამავე დროს, თაყვანს სცემდნენ ეგვიპტის XIX დინასტიის პერიოდში.

მითოლოგიური ტექსტებიდან გამომდინარე, ყველაზე ცნობილი უგარითის ბაალია, რომელიც მესოპოტამიურ ადადთან იდენტიფიცირების შემდგომ, ცნობილია ასევე როგორც ბაალ-ჰადადის, ან ჰადადის სახელით. ის იყო უგარითის მთავარი ღვთაება და უგარითული საკუთარი სახელების უმრავლესობა შეიცავდა ბაალის სახელს, ან მის ერთერთ ეპითეტს, ქალაქში სულ მცირე ორი ტაძარი მისადმი იყო მიძღვნილი. სიმბოლურად ის უკავშირდება ნაყოფიერებას, მას აქვს ცხოველებისა და ადამიანებისათვის ნაყოფიერებისა და სიცოცხლის მინიჭების ფუნქცია. ბაალის ეპითეტია აგრეთვე “უფლისწული”; ძველ აღთქმაში “ბაალზებუბის” საწყისი ფორმა.

ბაალის მამა იყო ამინდის ღვთაება დაგონი, თუმცა ზოგჯერ ის საკუთარ მამად ელსაც მოიხსენიებს. აღსანიშნავია ბაალსა და ელს შორის არსებული ურთიერთობა ბაალის მითებში, რომელთა მიხედვით ელი წარმოაგენს პატრიარქალური პანთეონის წინამძღოლს, ბაალი კი, წარმოგვიდგება ბუნების ღვთაებად.

**მინის მბრძანებელი** – ეპითეტი უკავშირდება უგარითს, ძვ. წ. XIV საუკუნე.

**უფლისწული ბაალი** - ეპითეტი უკავშირდება უგარიოს, ძვ. წ. XIV საუკუნე.

**დაგონის ვაჟი** - ეპითეტი უკავშირდება უგარიოს, ძვ. წ. XIV საუკუნე.

**ღრუბელთა მხედარი** - ეპითეტი უკავშირდება უგარიოს, ძვ. წ. XIV საუკუნე.

**ბაალის წინასწარმეტყველი** – ტერმინი მომდინარეობს ეგვიპტური ტექსტიდან ძვ. წ. XIV საუკუნე.

**“ადონ-ზაფონი – ჩრდილოეთის მბრძანებელი”**, ტექსტი უკავშირდება სა’ადს, რამსეს II ხანა.

**“მე ვიყავი მსგავსი სეთის/მონთუს/ბაალისა მისი ბატონობის ჟამს”** (ამ ტექსტის განსხვავებული ვერსიები ცნობილია რამსეს II ხანიდან).

ეგვიპტური წარმოშობის ღვთაებები *სეთი* და *მონთუ* გაიგივებულია ქანაანურ-უგარიოთულ ბაალთან. თავად გამოთქმა გულისხმობს, რომ ადამიანი ღვთაებების დარად იყო ძლევამოსილი.

**ბაალ შამაიმი** – ზეცის ბატონი/მბრძანებელი – ეგვიპტური ტექსტი, რამსეს III ხანა.

## **ელი**

წარმოადგენს ყველა სემიტურ ენაზე მიღებულ “ღვთაების” აღმნიშვნელ სიტყვას, რომელიც სემიტურ საკუთარ სახელებს შორის პირველად გამოჩნდა ძველი შუმერული პერიოდიდან. ელენისტურ ხანაში ელი იდენტიფიცირებული იყო კრონოსთან. უგარიოთში ბაალთან ერთად ის წარმოადგენდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღვთაებას, რომელიც განსაკუთრებულ როლს ასრულებდა უგარიოთული მითების სიუჟეტებში, კონკრეტულად კი აქატთან, კერეთთან, სახარასა და სალიმთან დაკავშირებულ ამბებში ფიგურირებს.

ელი, შუამდინარული ანის მსგავსად, წარმოადგენს ღვთაებრივი ძალაუფლების მქონე სამყაროს შემოქმედს. იგი არის წესრიგის საფუძველი, კოსმიურ და პოლიტიკურ დონეზე. მისი ეპითეტები მეტყველებენ მის ფუნქციებზე, ასე მაგალითად, “წლების მამის” სახით ის არის ყველა ღვთაების მამა, პატრიარქი (ბაალის გარდა, რომელიც მოხსენიებულია “დაგონის ვაჟის” სახით); “მეფის” სახით



ის მეფობს, როგორც ადამიანთა, ასევე ღვთაებათა სამყაროზე. იკონოგრაფიულად იგი წარმოდგენილია გრძელი წვერით, მჯდომარე მდგომარეობაში, მაშინ, როცა ბაალის გამოსახულებები დინამიურია, ბაალი ისვრის მესხს.

**კეთილმოსურნე** (უგარითი, ძვ. წ. XIV საუკუნე).

**ხარი ელი** (უგარითი, ძვ. წ. XIV საუკუნე).

**მამამისის ელის ხარი** (უგარითი, ძვ. წ. XIV საუკუნე).

**ცოცხალ არსებათა შემოქმედი** (უგარითი, ძვ. წ. XIV საუკუნე).

**კაცთა მოდგმის მამა** (უგარითი, ძვ. წ. XIV საუკუნე).

**მეფე მამა შუნემისა** (უგარითი, ძვ. წ. XIV საუკუნე).

### **მელკარტი**

დასავლურ სემიტური ღვთაებაა, რომლის სახელი ნიშნავს “ქალაქის მეფე”-ს. ფინიკიურ პერიოდში ის წარმოადგენდა ტვიროსის, მოგვიანებით კი, მისი კოლონიის - კართაგენის მთავარ ღვთაებას. პირველად იგი მოხსენიებულია ასურელ ესარხადონსა და ტვიროსის ბაალს შორის დადებულ ხელშეკრულებაში. ბერძნები და რომაელები აიგივებდნენ მელკარტს შერაკლესთან, რომელსაც ემოსა ლომის ტყავი.

**მექალი** (მელკარტი), ბეთ-შეანის ღვთაება, რომელსაც ეთაყვანებოდნენ ეგვიპტელი არქიტექტორი ამენ-ემ-ოპეტი და მისი ვაჟი (ბეთ შეანი, თუთმოს III ხანა).

**მელკარტი** (ბენ-ჰადადი, ძვ. წ. IX საუკუნე).

### **რაშაპი/რეშეპი**

რეშეპი – დასავლურ სემიტური ღვთაებაა, რომლის სახელი დაკავშირებული იყო “ცეცხლთან”. ეს იყო უძველესი ღვთაება, რომელიც ჩნდება ჯერ კიდევ ებლას პანთეონში და მიუხედავად იმისა, რომ უგარითში ის ნაკლებად ფიგურირებს მითებში, მაინც რეგულარურად იღებდა შესაწირს და მუდმივად ჩნდებოდა საკუთარ სახელებში. რეშეპი იდენტიფიცირებული იყო ბაბილონურ ქვესკნელის ღვთაება ნერგალთან. ეგვიპტელებმაც გაითავისეს იგი, ხოლო

უბედურების ღვთაების სახით, მას შესთხოვედნენ ებრძოლა ბოროტ ძალებთან. ფინიკიელებმა დაგვიტოვეს აღნიშნული ღვთაების რამდენიმე გამოსახულება როგორც კვიპროსზე, ასევე ანატოლიასა და სირიაში.

**“რაშაპი, დიადი ღვთაება, ზეცის მბრძანებელი, ენეადის მმართველი”**, ტექსტი მომდინარეობს უგართიდან, ანათის სტელა.

**“რაშაპი, დიადი ღმერთი, ზეცის მბრძანებელი, ენეადის მმართველი და მარადისობის გამგებელი”**, ეგვიპტე, XVIII დინასტიის ბოლო.

**რაშაპ-შულმანი “ეტლოსანი მებრძოლები ისეთივე ძლიერები არიან, როგორც რაშაპები”**, ეგვიპტე, რამსეს III ხანა.

### **სეთი/სეთხი**

“უცხო ქვეყნის”, ანუ უდაბნოს ღვთაება. ბოროტი საწყისის განსახიერება, ეგვიპტური ღვთაებების, ნუტისა და გების შვილი; მისი წმინდა ცხოველებია: ღორი, ანტილოპა, ჟირაფი, ვირი. ჰიქსოსების ბატონობის დროს მისი საკულტო ცენტრი გახდა ქ. ავარისი. მის სახელს ატარებდნენ XIX დინასტიის ფარაონები (სეთი, სეთნახი). სეთის ეპითეტია - “ძღვევამოსილი”. ძველი სამეფოს დროს სეთს მიეწერებოდა რას გადარჩენა გველ აპოპისაგან, თუმცა მაინც ინარჩუნებდა ბოროტი საწყისის სტატუსს, რჩებოდა რა უდაბნოს, უცხო მიწების ღვთაებად. მის ეპითეტებს დაემატა “ქარი”, “ქარიშხარლი”, “მეამბოხე” და სხვ. ოსირისის მისტერიებში განსაკუთრებულ როლს თამაშობს სეთის ბრძოლა ჰორუსთან. იგი ჰორუსის ბიძა და მისი მოქიპშეა. ბიძა-ძმისწულის გამოსახულებას ერთად დგამდნენ, გვირგვინიც ორმაგი ედგათ თავზე. სეთზე შექმნილია მითები, სადაც ის კლავს და აქუცმაცებს თავის ძმას – ოსირისს. სეთი უკავშირდება ეგვიპტის უდაბნოს.

**ხათის სეთი** (რამსეს II ხანის წარწერიდან)

**ბაალის მკვდრეთით აღდგომის თემა**

ღვთაების გარდაცვალებისა და აღდგომის მოტივი ძალზედ პოპულარული თემაა ძველმოსავლური მითოლოგიისათვის. ეს თემა ჩნდება დაახლოებით ძვ. წ. XIV საუკუნიდან. ბაალი, ოსირისისა და ადონისის დარად, კვდება და სიკვდილის შემდგომ აღდგება საუკუნო ცხოვრებისათვის. ბაალი ნაყოფიერების ღვთაებაა, რომლის სიკვდილ-სიცოცხლის თემა ნაყოფიერების ციკლებთან იყო დაკავშირებული.

ტექსტი შედარებული გვაქვს ANET გვ. 138-141.

“ღვთაებრივი მოტის საფლავიდან,  
ელს ჯაზირის ქვესკნელიდან,  
ღვთაებები მიდიან წყვილად, დაყოვნების გარეშე.

ისინი გზაში არიან, მიდიან  
ბაალისაკენ, ზაფონის მწვერვალის მეუფისაკენ.  
გაპნი და უგარი განაცხადებენ:

“ღვთაებრივი მოტის გზავნილი,  
ღვთაება - ჯაზირის სიტყვა:  
(შემდეგი 13 ხაზი არ იკითხება, დაზიანებულია)

თუ შენ მოსპობ ლოთანს, გველურ  
არსებას,

გაანადგურებ გველურ მზაკვრობას,  
..შვიდი თავის შალიათი,  
(30 ხაზი გამოტოვებულია)

(2)

ერთი ეხება მიწას და მეორე ზეცას,  
[ის აწვდენს მის ექნას ვარსკვლავებამდე.

ბაალი შედის მის პირში.

ის ჩადის მასში ზეთის ხილის კვერის მსგავსად,  
მინის და ხეების ნაყოფის მსგავსად.

ძლევამოსილი ბაალი მეტად შეშინებულია,  
ღრუბელთა მხედარი შიშით არის აღვსილი:

“განმშორდი? ეკითხება ღვთაებრივ მოტს,  
აუწყე ელს ჯაზირისას:

ძლევამოსილი ბაალის გზავნილი,

ძლიერი გმირის სიტყვა:

“იყავი მოწყალე, ჰოი, ღვთაებრივო მოტო;  
მონა ვარ მე, სამუდამოდ დამონებული.”

ღვთაებები მიდიან ნყვილად, დაყოვნების გარეშე.  
ისინი გზაში არიან და მიდიან

ღვთაებრივ მოტთან,

მის ქალაქ ხამრიაში,

სამეფო ტახტთან, რომელზეც [ის] ზის

მის სამემკვიდრეო [მინიან] ქვეყანაში.

ისინი აღიმალლებენ ხმას და იძახიან:

“ძღვევამოსილი ვაჟის, ბაალის გზავნილი,

ძლიერი გმირის სიტყვა:

“იყავი მოწყალე, ჰოი, ღვთაებრივო მოტო;

მონა ვარ მე, სამუდამოდ დამონებული.”-

- ღვთაებრივი მოტი ხარობს [და უწევს]

მის [ხმას, ის] იძახის:

“როგორი დამცირებულია [....].”

(სტრიქონების რამდენიმე დაბოლოება აკლია, შემდეგ დაახლოე-  
ბით 20-25 სტრიქონი გამოტოვებულია. III-IV სვეტი მეტად  
დაზიანებულია, აზრის გამოტანა შეუძლებელია.)

მაგრამ შენ დაიპყრე შენი ღრუბელი, შენი ქარი,

შენი..., შენი წვიმები;

შენი შვიდი ჭაბუკის,

შენი რვა ტახის.

პადრიასთან ერთად, არის ქალიშვილთან ერთად,

თატალიასთან, რაბის ქალიშვილთან ერთად;

(10)

რაბის ქალიშვილის, შენი თატალიას (ტფლი),

მეშვეობით.

ახლა კი გაემგზავრე

კანკანიას მთაში.

ასწიე მთა შენს ხელებზე,

ასწიე შენი ხელის გულეებზე,

და დაეშვი მიწის  
სიღრმეში,  
იყავი ერთი იმათგანი, ვინც ეშვება მიწაში,  
ძღვევამოსილი ბაალი ასრულებს ბრძანებას.  
მას სურს მდერდი ხბო დუბრში,  
ახალგაზრდა ფური შილმემატის ველზე  
წვება მასთან სამოცდაჩვიდმეტჯერ,  
(20)

[...] ... ოთხმოცდარვაჯერ.

ახალგაზრდა მდედრი ძროხა [ფეხმ]ძიმდება და ბადებს  
მატს.

(3 სტრიქონის ფრაგმენტი გამოტოვებულია)

(6)

(ზედა ნაწილში დაახლოებით 3 სტრიქონი გამოტოვებულია)

[ისინი შეაღწევენ ელის ველზე და შედიან  
კარავში, რომელიც ეკუთვნის მეფეს, მამა ელის]  
შუნემის. [და აღიმაღლებენ ხმას, ისინი  
იძა]ხიან: ჩვენ წავედით [...],

ჩვენ [მივე]დით დაბრის-ქვეყნის  
დიდებულებთან, შილმემატი-ველის სილამაზესთან.  
ჩვენ მოვედით ბაალის მიწაზე დანარცხების გამო:

“ძღვევამოსილი ბაალი მოკვდა,  
გამგებელი, მიწის მბრძანებელი,  
მკვდარია.” (10)

კეთილმოსურნე, ელი ბენიგნი მყისვე  
ჩამოდის სამეფო ტახტიდან,  
ჯდება სკამზე;

სკამიდან, ჯდება მიწაზე;  
თავში იშენს მტვერს და გლოვობს,  
მის თეფშზე დარდის მიწა დევს;  
და იცვამს ჯვალოს და უხეშ ტილოს.

ის ჭრილობებს აყენებს საკუთარ თავს ბასრი ქვით,  
ისერება ...

ისერავს ლოყებსა და ნიკაპს,

ტკივილს აყენებს საკუთარ მკლავებს. (20)

კვალი გაჰყავს საკუთარ გულმკერდზე, თითქოს ბალი იყოს, მინდორივით იფარცხავს საკუთარ ზურგს.

უნევეს ხმას და ღრიალებს:

“ბაალი მკვდარია -- რა დაემართება ხალხს?

დაგონის ვაჟი -- რა ეშველებათ ხალხს?

ბაალის შემდეგ მე ჩავალ მინაში.”

ანათიც დადის, დახეტილობს

თითოეულ მთაზე ადის, რომელიც მინის გულიდან ამოზიდულა,

მინის [ნია]ლთაგან ამოზიდულ ყველა გორაკზე ადის.

ის (ანათი) მოდის დაბრის-ქვეყნის სახელგანთქმულ

[მინაზე],

შილმემატი-ველის სილამაზესთან.

(3)

ის [მოდის] ბაალთან

მინად დაცე[მულთან]

ის იცვამს [ჯვალოს] და უხეშ ტილოს.

(ბაალის გამო)

ის ჭრილობას იყენებს ქვით,

ისერება ...

შემდეგ ის გოდებს, სიმწრის გოდებით აღსავსე;

ღვინის დარად სვამს საკუთარ ცრემლებს. (6)

იგი ხმამაღლა მოუხმობს

ღვთაებათა მანათობელ შაფშს,

“ძლევამოსილო ბაალო, გევედრები ამაღლდი ჩემზე”.

ესმის ღვთაებათა მანათობელ შაფშს,

ამოჰყავს ძლევამოსილი ბაალი,

სვამს მას ანათის მხარზე.

ზაფონის ციხე-სიმაგრეზე მას მოჰყავს

იგი,

დატირის და მინას აბარებს მას,

აწვენს მას მიწის ნაპრაღთა სიღრმეში.  
 ის (ანათი) კლავს სამოცდაათ კამეჩს  
 ძღვევამოსილი ბაალის პატივსაცემად;  
 ის კლავს სამოცდაათ ხარს (20)  
 ძღვევამოსილი ბაალის [პატივ]საცემად;  
 [ის კლ]ავს სამოცდაათ პატარა რქოსან საქონელს  
 ძღვევამოსილი ბაალის [პატივ]საცემად;  
 [ის კლ]ავს სამოცდაათ ირემს  
 ძღვევამოსილი ბაალის [პატივ]საცემად;  
 [ის კლავს] სამოცდაათ მთის თხას  
 ძღვევამოსილი ბაალის [პატივ]საცემად;  
 [ის კლავს სამოცდაათ ფურირემს  
 ძღვევამოსილი ბაალის [პატივ]საცემად;  
 [...] ..ა[ნათი], (30)  
 [...] იაბამა[თ] ლიიმმიმ.--  
 [იქ]იდან, ის წავიდა  
 ელ]თან, წყლები სთავესთან  
 [წყლის] ორ სიღრმეში  
 ის აღწევს ერსის  
 ველს და შედის  
 მამა მეფის შუნემის კარავში.  
 ერსის ფერხთან ის ქედს იხრის და ეცემა,  
 თაყვანს სცემს მას. ის იმადლებს ხმას და  
 ყვირის:  
 “ამჯერად დაე, აშერამ და მისმა ვაჟებმა, (40)  
 ელათმა და მისმა სახლიკაცებმა  
 იმხიარულონ;  
 რადგან ძღვევამოსილი ბაალი მკვდარია,  
 დაღუპულია უფლისწული, მიწის მბრძანებელი”.  
 ხმამაღლა შესტირის ელი დოტი  
 ზღვის ქალბატონ აშერას:  
 “შემისმინე, [ზღვის ქალბატონო აშერა],  
 მომეცი შენი ერთეერთი [ვა]ჟი, მე მას  
 მეფედ გავხდი”.

ზღვის ქალღმერთი აშერა ამბობს:

“რატომ, მოდი იადი იალჰანი  
გავხადოთ მეფედ”. კეთილმოსურნე ელ  
ბენინგმა უპასუხა:

“მეტად სუსტია. მას არ შეუძლია შეეჯიბროს  
ბაალს, (50)

ისროლე შუბი დაგონის ვაჟის  
დიდების გვირგვინისაკენ!” უპასუხა ზღვის  
ქალბატონმა აშერამ:

“მაშ მოდით გავხადოთ აშთარი  
მეფედ;

დაე, აშთარი იყოს მეფე.”--

ტირანი აშთარი დაუყონებლივ  
ადის ზაფონის ციხესიმაგრეზე  
(და) იკავებს ძლევაგამოსილი ბაალის სამეფო ტატხს.  
(მაგრამ) მისი ფეხები არ ეხება  
ძირს,

ვერც მისი თავი სწვდება ზედა სკნელს.  
(60)

ამგვარად, ტირანი აშთარი აცხადებს:

“მე არ ვიბატონებ ზაფონის ციხესიმაგრეში!”

ტირანი აშთარი დაბლა ეშვება  
ძლევაგამოსილი ბაალის სამეფო ტახტიდან,  
და მეფობს მთლიანად ერსის მიწაზე.

[...] ...

(2)

(დაახლოებით 30 ხაზი ზემოთ გამოტოვებულია)

[...] დღე, დღეები მიდიან, (4)

[და საყვარელი ანათი] უახლოვდება  
მას.

როგორც [ფუ]რის გულია

საკუთარი ხბოს მიმართ (ანთებული),

როგორც დედალი [ცხ]ვრის გულია

საკუთარ ბატკანთან მიმართებაში (ანთებული),



ასეთივეა ანა[თი]ს გული ბაალის მიმართ.

ის იტაცებს მოტს მისი სამოსის

ნაკეცით,

იჭერს [მას] მისი მანტიის არშიით.

ის უწევს საკუთარ ხმას და [ყვირის]:

“ახლავე მოტ! მომგვარე ჩემი ძმა”.

ღვთისმოსავი მოტი პასუხობს:

“რას გააკეთებდი შენ, ო ქალწულო ანათ?

მე მართლა წავედი და

მოვიარე

თითოეული

მთა დედამიწის გულთან,

თითოეული გორაკი დედამიწის

წიაღში.

სასიცოცხლო სუნთქვა სურდათ ხალხს,

მე მივედი დაბრის ქვეყნის

სილამაზესთან,

შილმემათის ველის სილამაზესთან.

(20).

მე დავღეჭე ძღვევამოსილი ბაალი.

როგორც ბატკანი ჩემს პირში;

როგორც თიკანი ჩემს ყელში, ის განადგურებულია.

ღვთაებათა მანათობელი შაფშიც კი,

რომელიც დაფრინავს ზეცის სკნელში,

ღვთისმოსავი მოტის ხელშია”.

დღე, დღეები კი გადიან,

დღეებიდან თვეები.

შემდეგ საყვარელი ანათი უახლოვდება მას.

როგორც ფურის გულია საკუთარი ხბოს მიმართ (ანთებული),

როგორც დედალი ცხვრის გულია

საკუთარ ბატკანთან მიმართებაში (ანთებული),

ასევეა ანათის გული ბაალის მიმართ. (3)

ის ხელში იგდებს ღვთისმოსავ მოტს --

ხმლით განგმირავს მას.

ის ცეცხლით წვავს მას  
ის ხელის წისქვილით ფქვავს მას--  
ის ველზე თესავს მის ნარჩენებს.  
ჩიტები ჭამენ მის ნარჩენებს,  
შთანთქავენ მის ნაწილებს,  
დაფრინავენ ნარჩენიდან ნარჩენზე.

(III-IV)

(III სვეტის ზედა ნაწილში ზოგიერთი პნკარედი  
გამოტოვებულია)

[ამდენად, ძლევამოსილი ბაალი გარდაიცვალა],  
[ამგვარად, დედამიწის მბრძანებელი] მეფე  
დაიღუპა. და შეხედეთ, [ძლევამოსილი ბაალი]  
ცოცხალია!

და შეხედეთ, [დედამიწის მბრ]ძანებელს,  
მეფეს! ოცნებაში, ჰოი,  
კეთილმოსურნე ელ ბენიგნი,  
მარადიული, ცოცხალ არსებათა შემოქმედი,  
ზეცა უშვებს წვიმას,  
ჭაობის ფრინველები მოედინებიან თაფლთან ერთად.

ასე რომ, მე

ვიცოდი, რომ

ძლევამოსილი ბაალი,

მარადიული მეფე, დედამიწის მბრძანებელი ცოცხალი იყო!

სიზმარში, კეთილმოსურნე ელ ბენიგნი, (10)

ოცნებაში, ცოცხალ არსებათა შემოქმედი,

ზეცა უშვებს წვიმას,

ჭაობის ფრინველები მოედინებიან თაფლთან ერთად --

კეთილმოსურნე ელ-ბენიგნი კმაყოფილია.

ის აწყობს ფეხებს სკამზე,

და აღებს პირს და იცინის.

ის იმაღლებს ხმას და იძახის:

“ახლა მე დავჯდები და დავისვენებ

და ჩემი სული დამშვიდდება ჩემს მკერდში.

რადგან ძლევამოსილი ბაალი ცოცხალია, (20)

დედამინის მბრძანებელი, მარადიული მეფე!”  
ელი ხმამახლა უყვირის  
ქალწულ ანათს.  
ყური მიგდე, ო ქალწულო ანათ!  
ღვთაებათა მანათობელ შაფშს უთხარი:

(IV)

“მინის კვლები დამსკდარია, ო  
შაფშ;  
დამსკდარია ელის მინის კვლები:  
ბაალი უარყოფს მისი ხნულის  
კვალს.  
სად არის ძლევა მოსილი ბაალი?  
სად არის მეფე, დედამინის მბრძანებელი?”  
ქალწული ანათი მიდის. (30)  
იგი მიდის  
ღვთაებათა მანათობელ შაფშთან.  
ის აღიმაღლებს ხმას და იძახის:  
“შენი მამის, ხარი ელის გზავნილი,  
კეთილმოსურნესი, შენი მშობელის სიტყვა:  
დამსკდარია მინის კვლები, ო  
[შაფშ];  
დამსკდარია ელის მინის კვლები:  
ბაალი [უარ]ყოფს მისი ხნულის  
კვალს.  
სად არის ძლევა მოსილი ბაალი?  
სად არის მეფე, დედამინის მბრძანებელი  
?”--( 4)  
უპასუხა ღვთაებათა მანათობელმა შა[ფშმა]:  
“...[შენი ძმის]...ში,  
შენი დედმამიშვილის...ში,  
და მე დაველოდები ძლევა მოსილ ბაალს.”--  
ამბობს ქალწული ანათი:  
“..,

ო შაფში!

[...] დაიცავი შენი თავი,

...[...]" (?)

...[...]

...[...].

(დაახლოებით 35 ხაზი გამოტოვებულია)

(V)

ბაალი ატყვევებს აშერას ვაჟებს.

ბაალი ურტყამს რაბიმს ზურგში.

დოკუამს ის სცემს

ხელკეტით,

...ის ეცემა მიწაზე.

ბაალი [აღმართავს] საკუთარ სამეფო ტახტს,

[დაგონის ვაჟი] მბრძანებლობს.

დღეები[დან] თვეებამდე, თვეებიდან

წლებამდე.

შეხედე, შვიდი წლის შემდეგ,

ღვთისმოსავო მოტ [...]

ძღვევამოსილ ბაალს.

ის აღიმაღლებს ხმას და ამბობს:

შენზე ...შემიძლია მე დავინახო,

შენი დაცემა შემიძლია მე დავინახო.

განიავება (შენი სანიავებელით

შემიძლია მე დავინახო.

(გაპოზა) ხმლით

შენი შემიძლია მე დავინახო.

დანვა ცეცხლით

შენი [შემიძლია მე დავინახო.

და]ფქვა ხელის წისკვილით

შენ[ი] მე შემიძლია და[ვინახო,

გაცრა] საცერით

შენი [შემიძლია მე] დავინახო.

[...]. [...] მიწაში

შენი შემიძლია მე დავინახო.

დათესვა ზღვაზე

[...]. [...].

(20-28 ხაზი დაზიანებული და ბუნდოვანია.

დაახლოებით შემდეგი 35 ხაზი გამოტოვებულია).

(VI)

ზაფონის ციხესიმაგრეში ბაალთან დაბრუნებისას

ის აღიმაღლებს ხმას და

იძახის:

ჩემმა ძმებმა მოგცეს შენ, ბაალ,

ჩემი ...[ეზი?];

დედაჩემის ვაჟები, ჩემი...

ისინი ... აქლემების მსგავსად:

მოტის სიმტკიცე, ბაალის სიმტკიცე.

ისინი ირქინებიან კამეჩების მსგავსად:

მოტი ძლიერია, ბაალი ძლიერია.

ისინი იკბინებიან გველების მსგავსად:

მოტი ძლიერია, ბაალი ძლიერია. (20)

ისინი იწიხლებიან საბრძოლო ცხენების მსგავსად.

მოტი ეცემა. ბაალი ეცემა.

ზემოთ შაფში უყვირის მოტს:

“მისმინე, ახლა, ღვთაებრივო მოტ!

რატომ გაილაშქრე შენ ძლევამოსილი ბაალის წინააღმდეგ?

რატომ?

ხარმა ელმა, მამაშენმა უნდა მოგისმინოს,

ის ამოთხრის შენი საცხოვრებელის სვეტებს.

გადმოაბრუნებს შენს სამეფო ტახტს,

დალენავს შენი მბრძანებლობის კვერთხს!”

მეტად შეშინებული იყო ღვთაებრივი მოტი, (30)

ელის საყვარელი,

ჯაზირი აღვსილი შიშით.

....[...].

ბაალი სვამს მას მის სამეფო

ტახტ[ზე],

მისი მბრძანებლობის [ადგილას].

(3642 დაკარგული, დაზიანებული, ან  
გაურკვეველი)  
შენ შეჭამე “იგი” პატივის პური, (46)  
შენ დალიე “იგი” წყალობის ღვინო.  
შაფში მმართველობს შეკრებილთ,  
შაფში წარმართავს ღვთაებებს.  
....მოკვდავებს,  
...შენს ახალგაზრდა კოთარს,  
შენს ახლობელ ხასისსაც კი.  
ზღვის ურჩხულსა და დრაკონს,  
(50)  
გზას შეუდგება კოთარ ვა-ხასისი,  
კოთარ ვა-ხასისი მიემგზავრება.

დანერილია ელიმელებ შაბნიტის მიერ.  
ნაკარნახები ქურუმთა უხუცესის,  
მწყემსთა (ტადრის) წინამძღოლის - ათთანი-ფურულენის მიერ.  
მიძღვნილია ნიქმადის, უგართის მეფის, იარგუბის მთავარის,  
თარუმენის მბრძანებლის მიერ.

**ბაალის და ანათის ურთიერთობის შესახებ მოგვითხრობს  
ტექსტი, რომელიც თარიღდება ძვ. წ. XIV ს. ტექსტი შედარებულია  
ANET, გვ. 142.**

“...ბაალი მის სახლშია,  
ღვათება ჰადდი მისი სასახლის შუაგულში?”  
ბაალის ყმანვილები პასუხობენ:  
“ბაალი არ არის მის სახლში,  
[ღვთაება] ჰადდი მისი სასახლის შუაგულში.  
მისი მშვილდი მან აიღო ხელში,  
ასევე მისი ხელშუბი მის მარჯვენა ხელშია.  
ის მიემგზავრება შიმაციის შაქრის ლერწმის ბუჩქთან (ტბა ჰულებ?),  
სავსეა კა[მეჩებით].”--  
ქალწული ანა[თი] სწევს მის ფრთას, (10)

სწევს მის ფრთას და ისწრაფვის რომ გაფრინდეს,  
შიმაყის შაქრის ლერწმის ბუჩქთან (ტბა ჰულები), სავსეა  
კა[მეჩებით].”--

ძღვევამოსილი ბაალი მაღლა სწევს მის თვალებს,  
მაღლა სწევს მის თვალებს და ხედავს,  
ხედავს ქალწულ ანათს,  
უმშვენიერეს ბაალის დებს შორის.  
მის წინაშე ის წამოინევს, ის დგება,  
მის ფეხებთან ის მუხლს იყრის და ეცემა.  
და ის აღიმალღებს ხმას და იძახის: (20)

“სალამი, დაო, და...!

შენი...რქები, ო, ქალწულო ანათ,  
შენს...რქებს ბაალი ნელსაცხებელს აცხებს,  
ბაალი ნელსაცხებელს აცხებს მათ ფრენისას.  
ჩვენ დავცემთ ჩემს მტრებს მინაზე,  
მინაზე მათ, ვინც აღსდგება შენი ძმის წინააღმდეგ!”-  
ქალწული ანათი მაღლა სწევს მის თვალებს,  
მაღლა სწევს მის თვალებს და ხედავს,  
ხედავს ძროხას და აგრძელებს სიარულს,  
აგრძელებს სიარულს და აგრძელებს ცეკვას,  
სასიამოვნო ადგილებში, თვალწარმტაც ადგილებში. (30)  
(მარჯვენა მხარე 319)

(8 ან 9 დაზიანებული სტრიქონია ქვემოთ)  
ის იპყრობს და იღებს [მის] საშოს;  
[ანათი] ხელს სტაცებს და იღებს [ბაალის] ქვებს.  
ბაალი.....ხარს.

[...ქალწული ანათი

[...] ნაყოფი ისახება და ნაყოფს ატარებს.

(შემდეგი 14 სტრიქონი ძალიან ფრაგმენტულია)  
(IV-III)

[ძროხები ხბობენ შო[ბენ]: ხარი ქალწული ანათისათვის  
და ფური იაჰამათ ლიიმმიქუთ ძღვევამოსილი [ბაალისათვის]:

...რომ ჩვენი მამამთავარი მარადიულია, ყველა თაობის ჩამსახველი, ჩვენი შემოქმედი.

ბაალი ივსებს [მის ხელებს]

[ღვთაება] ჰადდის თი[თები] სავსეა.

...ქალწული ანა[თის] პირი, (10)

[მისი] ულამაზესი დის პირიც კი.

ბაალი ადის [მის სამეფო ტა]ხტზე,

დაგონის ვაჟი ც[აზე].

ბაალი ჯდება [მის სამეფო ტა]ხტზე,

დაგონის ვაჟი [მის ადგ]ილზე.

(16-29 სტრიქონებში საუბარია კვლავ ხარზე, რომელიც იბადება ბაალისათვის; ჯერ კიდევ დაუზუსტებელია მისი დედა თვით ანათი იყო თუ არა, - სტრიქონები დაზიანებულია) (30)

და ამგვარად ის ადის არართან,  
არართან და ზაფონთან.

საკუთარ მთასთან, სიამოვნებით

ის ხმამალა უყვირის ბაალს:

“მიიღე, ბაალ, ღვთიური ამბავი,

დიახ მიიღე, - დაგონის ვაჟო:

ბაალისთვის [დაიბადა] ველური ხარი

ხარი, ღრუბელთა მხედრისთვის.”

ძღვეამოსილი ბაალი ხარობს.

**შიმშილი და წვიმა: “აქატის ამბავი”; აღნიშნული ნაწყვეტი მომდინარეობს თხზულებიდან, რომელიც თარიღდება ძვ. წ. XIV ს. შეადარე: ANET, გვ. 153.**

აქატი - უგართული მოთხრობის გმირია, რომლის ამბავიც ნანილობრივ შემორჩენილია მწერალ ელიმელექის მიერ შესრულებულ რას-შამრას არქივის რამდენიმე ფირფიტაზე. მეფე დანიელი დამწუხრებულია თავისი ბედის გამო, რადგან მას უკვე შვიდი წელია არ ჰყავს ვაჟი; ის დახმარებას შესთხოვს ბაალს, რომელიც შუამდგომლობას უწევს მეფეს დიდ ღვთაება ელთან, ეს უკანასკნელი კი, შეისმენს ბაალის თხოვნას და უწყალობებს დანიელს ვაჟს, ჩნდება აქატი. გარკვეული დროის შემდეგ, კოთარ-ხასისი, ღვთაებათა ხე-



ლოსანი მოვა ლამაზი მშვილდით. დანიელი სტუმარს პატივით მიიღებს. სტუმარი მას აჩუქებს მშვილდს, რომელსაც დანიელი გადასცემს საკუთარ ვაჟს.

შემდგომ ტექსტი ეხება აქატისა და ანათის, ახალგაზრდა მეომარი ქალღმერთის დაოჯახების ამბავს. ანათს სურს მშვილდი თავისთვის მოიპოვოს და სანაცვლოდ აქატს სთავაზობს ოქროს, ვერცხლს, ბოლოს კი, უკვდავებას; აქატი ენინააღმდეგება ანათს, უკვდავებას ამჯობინებს ჩვეულებრივი ადამიანებისთვის დამახასიათებელ სიკვდილს და ამით ეჭვის ქვეშ აყენებს ქალღმერთის უნარს სამარადყამო სიცოცხლის მინიჭების შესახებ; ანათი იმუქრება სამაგიეროს გადახდით და სვავის ფორმის იაფთანთან ერთად მიფრინავს აქატთან, სადაც იაფთანი კლავს აქატს, მშვილდი კი ტყდება და ეცემა ზღვაში.

დანიელის ქალიშვილი ფუგათი გადანყვეტს შური იძიოს ძმის მკვლელობის გამო, კაცის ტანსაცმელით შეიმოსება და შეხვდება ანათს, რომელიც მთვრალია და ტრაბახობს აქატის მოკვლით; შემდგომ ტექსტი წყდება, რის გამოც მითის დასასრული უცნობია. თუმცა როგორც ჩანს, ფუგათი მაინც კლავს საკუთარი ძმის მკვლელს. ამბავის დანარჩენი ნაწილი უცნობია, რადგან ფირფიტის მხოლოდ სხვადასხვა ფრაგმენტია შემორჩენილი, თუმცა აღნიშნული ნაწილიდან ცხადია, რომ დანიელი კვლავ მიმართავს ბაალს დახმარებისთვის, რადგან ვერ ივინყებს საკუთარ ვაჟს. ბაალი სთავაზობს მას სპირიტუალური სეანსის გზით (მიცვალებულთა სულების ეფემიზმი) სულის გამოხმობას. შემდგომ ტექსტი აღწერს რიტუალურ ნადიმს, თუმცა ბაალის საბოლოო გადანყვეტილებასთან დაკავშირებული საკითხი დანიელის დახმარების თვალსაზრისით, დაკარგული და შესაბამისად უცნობია.

“შვიდ წელიწადს ბაალი მარცხს განიცდის,  
რვა ღრუბელთა მხედარი.  
არანაირი სიგრილე,  
არანაირი წვიმა;  
არანაირი ამოჩქევა სიღრმიდან,  
არანაირი სიტყბო ბაალის ხმისა.”

**მსხვერპლშენირვის თემა მომდინარეობს “მეფე კერეთის ლეგენდიდან”, თარიღდება ძვ. წ. XIV ს. შეადარე: ANET, გვ. 143.**

კერეთი – ეპონიმური უგართული ტექსტის გმირია, რომლის ავტორია მწერალი ელიმელეტი. ქვემოთ მოცემულია აღნიშნული ნაწარმოების მოკლე შინაარსი: კერეთი, ხუბურის მეფე მონყენილია, რადგან დაკარგა შვიდივე ცოლი, რომელთაგან ვერცერთმა ვერ მოასწრო მისთვის შვილების გაჩენა. კერეთს ესიზმრება ღვთაება ელი, რომელიც მას აძლევს რჩევას, თუ როგორ უნდა გადაჭრას პრობლემა: მეფემ უნდა გაილაშქროს უდუმის, მეზობელი სამეფოს წინააღმდეგ. ალყაშემორტყმული მეფე შესთავაზებს მას მდიდრულ ხარკს, მაგრამ კერეთმა უნდა მოითხოვოს მხოლოდ უდუმის მეფის ქალიშვილ ჰარიაზე დაქორწინება. კერეთი დარიგებისამებრ იქცევა და უზარმაზარი ჯარით იერიშზე მიდის უდუმის წინააღმდეგ, გზაში ის ჩერდება ქალღმერთ ასტარტას ტაძართან და ჰპირდება ქალღმერთს მისი მეუღლის წონის შესატყვის სამმაგ ოქროსა და ორმაგ ვერცხლს, იმ შემთხვევაში თუ ყველაფერი კარგად დასრულდება.

უდუმში ყველაფერი გეგმის შესაბამისად განხორციელდება, კერეთიც მოიპოვებს მშვენიერ პატარძალს. ქორწილში მოდიან ყველა ღვთაებები და ლოცავენ წყვილს; ელი აცხადებს, რომ ჰარიას ეყოლება რვა ვაჟი და რვა ქალიშვილი, თუმცა მხოლოდ ყველაზე უმცროსი, “მერვე” შვილი გახდება “მისი პირმშო” (მისი მემკვიდრე).

ჰარია აჩენს თექვსმეტ შვილს და ყველაფერი კარგად არის მანამ, სანამ ასტარტას არ გაახსენდება კერეთის მიერ მიცემული აღთქმა და სასიკვდილო ავადმყოფობას შეჰყრის მას, გლოვობს ყველა. ბაალი ინვესს ღვთაებებს კერეთის დასახმარებლად, სადაც ელი აცხადებს, რომ შესძლებს კერეთის ავადმყოფობის განდევნას: ის ხელის გულზე იღებს თიხას და ქმნის ფრთიან ქალ შათიქთუს, რომელიც მიფრინავს ქალაქში და კურნავს კერეთს; ეს უკანასკნელი სასწრაფოდ უხმობს თავის მეუღლეს ბატკნის მოსამზადებლად, ორი დღის შემდეგ კი, იბრუნებს სამეფო ტახტს, რომელშიც მას ეცილება საკუთარი ვაჟი იასუბი. აქ ტექსტი წყდება და მითის ბოლო უცნობია, თუმცა გადარჩენილი ტექსტიდან ცხადად ჩანს, რომ კერეთი კარგავს ყველა შვილს უმცროსი ქალიშვილის გარდა.

შედი [კარვის ჩრდილში]. 65  
აიყვანე ბატკანი შენს ხელში,  
შესანიერი ბატკანი შენს მარჯვენა ხელში;  
თიკანი [შენს ხელში],  
შენი საყვარელი საკვები.  
დაიჭირე გვრიტი,  
სამსხვერპლო ჩიტი.  
ვერცხლის [თას]ზე დაასხი ღვინო,  
თაფლი [ოქროს თასში].  
ჯადი [კოშკის მწვერვალზე;  
დადექი კედლის წვერზე  
აღმართე შენი ხელები ზეცისკენ,  
მსხვერპლი შესწირე ხარს, შენს მამა ელს;  
პატივი ეცი ბაალს შენი მსხვერპლმწიროვით,  
დაგონის ვაჟს შენი მსხვერპლმწიროვებით.

## თაზო II

### სხვადასხვა შინაარსის ტექსტები ძველი აღმოსავლეთიდან

მითოლოგიური ტექსტების გარდა ძველადმოსავლური წყაროები მდიდარია სხვადასხვა შინაარსისა და თემატიკის ლიტერატურით. ბრინჯაოს ხანის ბოლოსა და რკინის ხანის ძველადმოსავლური ცივილიზაციები მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ და კულტურულ განვითარებას განიცდიან. საინტერესოა, აგრეთვე ძველადმოსავლურ საზოგადოებებსა და სახელმწიფოებს შორის არსებული პოლიტიკური ურთიერთობები, საჭირო კონტაქტები და ზოგადად, ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი ცნობები. ქვემოთ გთავაზობთ შერეული შინაარსის მქონე ტექსტებს, რომლებიც მომდინარეობენ ძველი აღმოსავლეთის სხვადასხვა რეგიონიდან.

**ტაძრის მშენებლობის თემა “ბიბლოსელი იეჰიმილქის შენობის წარწერებიდან, თარიღდება ძვ. წ. X ს. შეადარე: ANET, გვ. 653; M. Dunand, Bulletin du Musee de Beyrouth, 39, 1930, გვ. 321-31.**

ბიბლოსის მეფე იეჰიმილქმა ააშენა სასახლე და აღადგინა ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სახლების ნანგრევები. აღნიშნული ტექსტი ცნობილია 1869 წლიდან, თუმცა ტექსტის ქვედა მარჯვენა მხარის ძირითადი ფრაგმენტი მხოლოდ 60 წლის შემდგომ იქნა აღმოჩენილი. არსებობს მოსაზრება, რომ სახელი იეჰაუ-მილქი (სხვაგვარად მოიხსენიება იეჰის ან შესაძლოა იეჰარის სახით) შესაძლოა ნიშნავდეს “იეჰაუ არის მეფე”-ს, მაშინ როდესაც იეჰაუ/იეჰი წარმოადგენს ებრაული იაჰ/იაჰვე/იაჰუს ფინიკიურ ვერსიას. ფინიკიური/ქანაანური ზღვის ღვთაების იაუს, ან იეუოს გამოსახულება წარმოდგენილია ლაზაში აღმოჩენილ მონეტაზე, რომელიც შესრულებულია სპარსულ პერიოდში ბერძენი ხელოსნების მიერ.

სახლი, აშენებული იეჰიმილქის, ბიბლოსის მეფის მიერ, რომელმაც ასევე აღადგინა სახლთა ყველა ნანგრევი. დაე, ბაიშამემმა და ბიბლოსის მბრძანებელმა (ან ბიბლოსის ქალბატონმა) და ბიბლოსის წმინდა ღვთაებათა საკრებულომ, გაუხანგრძლივონ იეჰიმილქს დღეები და წლები ბიბლოსში, ვინაიდან (ის არის) სამართლიანი მეფე და გულწრფელი მეფე ბიბლოსის წმინდა ღვთაებათა წინაშე!

**სტელა მომდინარეობს დამასკოს “ბენ-ჰადადის საკულტო წარწერებიდან”, თარიღდება ძვ. წ. IX საუკუნის შუა პერიოდით. შეადარე: ANET, გვ. 655; M. Dunand, Bulletin du Musee de Beyrouth, III, 1939, გვ. 65-76; VI, 1942-43, გვ. 41-45.**

ჰადადი (უგარითულად ჰადუ) წარმოადგენდა მეტად მნიშვნელოვან ჩრდილო-დასავლურ სემიტურ ქარიშხლისა და წვიმის ღვთაებას, რომელიც სახელითა და წარმოშობით დაკავშირებული იყო აქადურ ღვთაება ადადთან. ჰადადი ხშირად მოხსენიებულია უბრალოდ ბა'ალის (მბრძანებელი) სახელით, თუმცა აღნიშნული ტიტული ასევე ხშირად გამოიყენება სხვა ღვთაებებთან მიმართებაში. ჰადადი გათანაბრებულია ანატოლიური ქარიშხლის ღვთაება – თეშუფთან, ეგვიპტურ ღვთაება – სეთთან, ბერძნულ ღვთაება – ზევსთან და რომაულ ღვთაება იუპიტერთან. უგარითში აღმოჩენილ მითოლოგიური შინაარსის ფირფიტებზე (განსაკუთრებით ბაალის ციკლში) სახელი ჰდ (გამოითქმის როგორც ჰადუ) ჩვეულებრივ ჰადადის სახით მოიხსენიება. ჰადადის ძირითადი ტიტულია “მბრძანებელი”, ან “ყველაზე ძლიერი, გამარჯვებული”.

რელიგიურ ტექსტებში ბა'ალ/ჰადადი წარმოადგენს ცის მბრძანებელს, რომელიც მართავს წვიმას და შესაბამისად მცენარეთა აღმოცენებას უწყობს ხელს. ის არის მიწათმოქმედი, ადამიანების სიცოცხლის დამცველი. ბა'ალის გაუჩინარება იწვევს სიმშრალეს, შიმშილს, სიკვდილსა და ქაოსს.

სტელა აღმართულია ბარჰადადის, ტ[აბრიმმონის ვაჟის, ჰეციონის ვაჟის], არამის მეფის მიერ მისი მბრძანებელი მელკარტისთვის, რომელსაც მან შესთხოვა (შესჩივლა) და მან (შემდეგ) გაიგონა მისი ხმა.

**ტაძრის რეკონსტრუქციის თემა: ბიბლოსელი იეჰაუმილქის წარწერა, ძვ. წ. V-IV სს. შეადარე: ANET, გვ. 656; M. Lidzbarski, Handbuch der nordsemitischen Epigraphik, 3V., Weimar, 1898, გვ. 416.**

მე ვარ იეჰაუმილქი, ბიბლოსის მეფე, იეჰარბალის ვაჟი, შვილიშვილი ბიბლოსის მეფის ურიმილქისა, რომელიც მბრძანებელმა,

ბიბლოსის ქალბატონმა აქცია ბიბლოსის მეფედ (ძვ. წ. V-IV სს.). მე ვუხმობდი ჩემს მბრძანებელს, ბიბლოსის ქალბატონს [და მან გაიგონა ჩემი ხმა].

ამიტომაც, ჩემი მბრძანებლისათვის, ბიბლოსის ქალბატონისთვის, მე გავაკეთე ეს ბრინჯაოს სამსხვერპლო, რომელიც არის ამ [შიდა ეზოში], და ოქროს ეს საგანი, რომელზედაც არის ჩემი წარწერა, ამოკვეთილი ოქროს ჩიტით (ფრთიანი მზე?) რომელიც დგას (ნახევრადძვირფას) ქვაზე... მე, იეჰუმილქმა, ბიბლოსის მეფემ, გავაკეთე (ეს საგნები) ჩემი მბრძანებლისათვის, ბიბლოსის ქალბატონისთვის, რადგან მე ვუხმობდი ჩემს მბრძანებელს, ბიბლოსის ქალბატონს და მან ისმინა ჩემი ხმა და მომექცა კეთილად. დაე, ბიბლოსის ქალბატონმა დალოცოს და დაიცვას იეჰუმილქი, ბიბლოსის მეფე და გაახანგრძლივოს მისი დღეები და წლები ბიბლოსში, რადგან ის არის სამართლიანი მეფე. და დაე, [მბრძანებელმა], ბიბლოსის ქალბატონმა, უბოდოს [მას] წყალობა ღვთაებათა და ამ ქვეყნის ხალხთა თვალში და (ის იყოს) ამ ქვეყნის ხალხით კმაყოფილი. [ვინც არ უნდა იყო შენ,] მბრძანებელი და (ჩვეულებრივი) ადამიანი, რომელმაც უნდა [გააგრძელოს] საქმიანობა ამ სამსხვერპლოზე და ოქროს ამ ნამუშევარსა და ამ პორტიკზე, ჩემი სახელი, იეჰუმილქი, ბიბლოსის მეფე, [შენ უნდა განათავსო] შენი სახელის გვერდით ამ ნამუშევარზე და თუკი შენ არ განათავსებ ჩემს სახელს შენს სახელთან, ან თუ შენ [მოაშორებ] ამ [ნამუშევარს და გადაიტან ამ] ნამუშევარს [მისი საძირკვლიდან] ამ ადგილზე, და [...დაე] მბრძანებელმა, ბიბლოსის ქალბატონმა, [გაანადგუროს] ეს ადამიანი და მისი თესლი ბიბლოსის ყველა ღვთაების წინაშე.

**სამეურნეო ტექსტები, შენორულობები და გადასახადები: "მარსელიის ტარიფი ბაალ-ზაფონის ტაძრიდან", თარიღდება ძვ. წ. III ს. შეადარე: ANET, გვ. 656-657; J.A. Cooke, A Text-Book of North-Semitic Inscriptions, Oxford, 1903, გვ. 112-22.**

გადასახადების ნიხრი, შემოდებული გადასახადებზე [პასუხისმგებელი პირების მიერ] [ჰილეს]ბალის მბრძანებელთა დროს, სუფეტის, ბოდტანიტის ვაჟის, სუფეტის, ბოდ[ემშუნის და ჰილეს-

ბალის] ვაჟის, სუფეტის, ბოდემუნის ვაჟის, ჰილესბალის ვაჟის და მათი კოლეგების მიერ.

ხარისგან, მთლიანად შეწირულისგან, ან შეწირულობის სანაცვლოსაგან, ან მთლიანად შეწირულობისაგან, ქურუმებს ექნებათ ათი -- 10 -- ვერცხლის (ნაჭერი) თითოსთვის. მთლიანი შეწირულობის შემთხვევაში, მათ ექნებათ ამ გადასახადთან ერთად, ხორცი [წონით სამასი --300].

სანაცვლო შეწირულობის შემთხვევაში, მათ ექნებათ კისერი (ან კოჭები) და მხრის სახსრები (ნაჭერი), მაშინ, როცა შეწირულობის აღმსრულებელს უნდა ჰქონდეს კანი, ნეკნები, ფეხები და ხორცის დანარჩენი ნაწილი.

ხბოსაგან, რომლის რქები ჯერ კიდევ არ არის ძლიერი და ..., ირემისგან, როგორც მთლიანი სამსხვერპლოსგან, ან სანაცვლო სამსხვერპლოს, ან მთლიანი სამსხვერპლოსათვის, ქურუმებს ექნებათ ხუთი --5--ვერცხლის [ნაჭერი თითოსთვის. მთლიანი სამსხვერპლოს შემთხვევაში, მათ ექნებათ] მისი გადასახადის გარდა, ხორცი -- 150, ასორმოცდაათ წონიანი. სანაცვლო სამსხვერპლოს შემთხვევაში, მათ ექნებათ კისერი (ან კოჭები) და მხრის სახსრები, მაშინ როცა [მსხვერპლის შემწირველს] უნდა ჰქონდეს კანი, ნეკნები, ფეხები [და ხორცის დანარჩენი ნაწილი].

ვერძის ან თხისათვის, როგორც მთლიანი სამსხვერპლოსათვის, ან მთლიანად სრულყოფილი სამსხვერპლოსათვის, ვალდებულება იქნება ერთი --1-- სიკილი ვერცხლი და 2 ცირკონი (=მონეტა), რადგან სანაცვლო მსხვერპლის შემთხვევაში, მათ ექნებათ [ამ გადასახადის გარდა, კისერი] და მხრის სახსრები, მაშინ, როცა მსხვერპლის შემწირველს უნდა ჰქონდეს კანი, ნეკნები, ფეხები და ხორცის დანარჩენი ნაწილი.

ხბოსთვის ან თიკანის, ან ახალგაზრდა ირემისათვის, როგორც მთლიანი მსხვერპლისთვის, ან სანაცვლო ან მთლიანად სრულყოფილი მსხვერპლისთვის, ქურუმებს ექნებათ ვერცხლის სამი მეოთხედი და [2] ცირკონი (=მონეტა) [თითოსთვის. სანაცვლო შეწირულების შემთხვევაში, მათ ექნებათ] ამ გადასახადის გარდა, კისერი და მხრის სახსრები, მაშინ როცა [მსხვერპლის] შემწირველს უნდა ჰქონდეს კანი, ნეკნები, ფეხები და ხორცის დანარჩენი ნაწილი.

ფრინველის სამსხვერპლოსაგან მთლიანი სამსხვერპლოს სახით, ან [სამსხვერპლოს ან ჰერცის სამსხვერპლოს სახით, ქურუმებს ექნებათ ვერცხლის სამი მეოთხედი და 2 ცირკონი (=მონეტა) თითოეულისთვის. [მსხვერპლის შემწირველს] უნდა ჰქონდეს ხორცი.

ნებისმიერი (სხვა) ფრინველისთვის], ან წმინდა სამსხვერპლოს, ან მონადირეული სამსხვერპლოსათვის, ან ზეთის სამსხვერპლოსათვის, ქურუმებს ექნებათ ვერცხლის 10 (=საკვები?) თითო-თვის [...].

ნებისმიერი სანაცვლო სამსხვერპლოსათვის, რომელიც მათ უნდა მიიტანონ ღვთაებასთან, ქურუმებს ექნებათ კისერი (ან კოჭები) და მხრის სახსრები და სანაცვლო სამსხვერპლოსათვის [...].

კვერზე და რძეზე და ცხიმზე და ნებისმიერი სამსხვერპლოსათვის, რის შეწირვასაც ვინმე აპირებს საკვების სამსხვერპლოს სახით, [ქურუმებს ექნებათ ...].

ნებისმიერი სამსხვერპლოსათვის, რომელსაც გაიღებენ ღარიბი პირები მსხვილი რქოსანი პირუტყვით, ან ფრინველით, ქურუმებს არაფერი ექნებათ [ვინც გინდა იყოს].

ნებისმიერი მოქალაქე და (წარჩინებული გვარის) ნებისმიერი შთამომავალი და ნებისმიერი – ღვთაებისადმი მიძღვნილი ნადიმის მონაწილე და ნებისმიერი, ვინც მსხვერპლს შესწირავს [...], ეს ადამიანები გადაიხდიან გადასახადს შესაწირზე, როგორც ეს განსაზღვრულია წერილობითი დოკუმენტით [რომელიც აღმართა...მეთვალყურეობის ქვეშ].

ნებისმიერი გადასახადი, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ ფირფიტით, განხორციელდება წერილობითი დოკუმენტის შესაბამისად, რომელიც [ასევე აღმართა...ჰილესბალის, ბოდთან]ითის და ჰილესბალის ვაჟის, ბოდემუნის ვაჟის და მათი თანამოაზრეების დაქვემდებარების ქვეშ.

ნებისმიერი ქურუმი, რომელიც მიიღებს გადასახადს ამ ფირფიტაში განსაზღვრული გადასახადების წინააღმდეგ, დაჯარიმდება [...].

ნებისმიერი პირი, რომელიც მსხვერპლშეწირვას განახორციელებს და არ გადაიხდის [თანხას] გადასახადისთვის [რაც განსაზღვრულია ამ ფირფიტაში...].



**გველის თაყვანისცემა: ფილონ ბიბლოსელის ცნობები დაცულია ეუსებუისის თხზულებაში, ფრაგმენტები 1.10, ძვ. წ. IV ს.**

ტაუტუსმა (თოტმა) პირველად აკურთხა სამლოცველო და გააცნო გველის მოდემის თაყვანისცემა, რაც გააგრძელეს ფინიკიელებმა და ეგვიპტელებმა. მან იგი მიიჩნია ყველაზე წმინდა ცხოველად, რადგან ის წარმოუდგენლად სახელგანთქმულია და მოძრაობს მისი სულით და არა ხელებით, ფეხებით, ან სხვა გარე ორგანოებით, რისი საშუალებითაც სხვა ცხოველები ახერხებენ მოძრაობას ... ტაუტუსმა ჩაწერა ეს წმინდა წიგნებში, რის გამოც ეს ცხოველი წარმოდგენილია წმინდა რიტუალებსა და მისტერიებში.

**მერნეპტახის ჰიმნი, ტექსტი შეადარე: ANET, გვ. 376-378.**

“უფლისწულები ღონემიხდილნი არიან, ამბობენ: “შეგვიწყალე!”  
არცერთი არ სწევს მის თავს ცხრა მშვილდს შორის,  
ტეჰენუ განადგურებულია; ხათი დაწყნარებულია;  
ყველა სიავით გაძარცვულია ქანაანი;  
აშქელონი წაღებულია; გეზერი დაპყრობილია;  
იანოამი ისეთ მდგომარეობაშია, რომ აღარ არსებობს;  
ისრაელი განადგურებულია, მისი თესლი კი არა,  
ხურუ ეგვიპტის ქვრივი გახდა!  
ყველა ქვეყანა ერთად, დაშოშმინებულია;“

**საზღვრის დაცვის სამსახურის მოხელის ჟურნალი, შეადარე: ANET, გვ. 258-259. ანასტასი III პაპირუსი.**

I

წელი 3, მესამე სეზონის პირველი თვე, დღე  
15. გუშაგი ბაალ-როი, ღაზას ზიფფორის ვაჟი,  
წავიდა, რომელსაც ჰქონდა ორი სხვადასხვა ცნობა  
სირიისათვის: გარნიზონ ხეის მეთაურისთვის ერთი  
ცნობა; ტირ ბაალ-თერმეგის უფლისწულისთვის, ერთი  
ცნობა.

(II)

(4) წელი 3, მესამე სეზონის პირველი თვე, დღე  
17. მერ-ნე-პტახ ხოტეპ-ჰირ-მაატის წყართა მთავარ  
მშვილდოსანს  
--სიცოცხლე, კეთილდღეობა, ჯანმრთელობა! --რაც  
მთა(ზეა) განლაგებული (სამართლებრივი)  
გამოძიებისათვის გადაიცემა ციხე-სიმაგრე, რომელიც არის  
სილში.

III

წელი 3, მესამე სეზონის პირველი თვე, დღე  
22.

გუშაგი თუტი, ლაზას ჯეკრემის ვაჟი, მოვიდა  
დიტოს შემუ-ბაალის ვაჟთან ტჯედეტთან და  
დიტოს აფარ-დაგალის ვაჟთან, სეთ-მოსთან ერთად,  
რომელსაც თან ჰქონდა,  
გარნიზონ ხეის მეთაური(სთვის) საჩუქრები  
და ერთი ცნობა.

(V 1) იქ ავიდა გუშაგი ნახთ-ამონი,  
თჯერის ვაში, მერ-ნე-პტახის

ხოტეპ-ხირ-მაატის ციხე-დარბაზის--სიცოცხლე, კეთილდღეო-  
ბა, ჯანმრთელობა! --რომელიც არის სარ-რამის ახლოს,  
რომელსაც თან ჰქონდა ორი სხვადასხვა ცნობა  
სირიისთვის: გარნიზონ პენ-ამონის მეთაურისთვის  
ერთი ცნობა; ამ ქალაქ რამზეს-ნახთ(ის) გამგებლისთვის  
ერთი ცნობა.

(4) იქ მოვიდა ქალაქ მერ-ნე-პტახ ხოტეპ-ჰირ-მაატის დაცვის  
ზედამხედველი

--სიცოცხლე, კეთილდღეობა, ჯანმრთელობა ! --რომელიც არის  
არემის რაიონში, პა-მერ-ხეტემი, ანის ვაჟი, რომელსაც თან  
ჰქონდა ორი

სხვადასხვა ცნობა იმ ადგილისთვის, სადაც ის იყო: გარნიზონ  
პა-რე-ემ-ხების მეთაურისთვის, ერთი ცნობა;  
პა-რე-ემ-ხების წარმომადგენლისთვის, ერთი  
ცნობა.

#### IV

(8) წელი 3, მესამე სეზონის პირველი თვე, დღე  
25. ბა-(ენ)-რე-მერი-ამონის დიადი მარადიულობის მეეტლე  
--სიცოცხლე, კეთილდღეობა, ჯანმრთელობა! --სასახლ[ის]  
წავიდა ზევით.

**სასაზღვრო უწყების მსახურის ანგარიში, შეადარე: ANET, გვ. 259 (ანასტასი VI პაპირუსი, სტრიქონები 51-61).**

მწერალი იწინა მიმართავს თავის ბატონს, საგანძურის მწერალს კა-გ[აბუ],...--სიცოცხლეში, კეთილდღეობაში, ჯანმრთელობაში! ეს არის ის წერილი, [რომ] [ჩემს ბატონს] ვაცნობო: ს[ხვა ცნობა] ჩემს ბატონს, რათა გაიგოს: [მე] შევასრულე ჩემზე დაკისრებული ყველა დავალება კარგად და ლითონივით მყარად. მე არ მოვდუნებულვარ. სხვა მიმართვა ჩემი [ბატონისადმი], რათა [გაიგოს: ჩვენ] დავასრულეთ ედომელი ბედუინების ტომის გაშვება მერ-ნე-პტახ ხოტეპ-ჰირ-მაატ[ის] ციხე-სიმაგრეზე გავლით... სიცოცხლე, კეთილდღეობა, ჯანმრთელობა! --რომელიც არის ტჯეკუ(ში), (56) პერ-ატუმის წყალსაცავებამდე (გარდინერის თანახმად, ბიბლიური პითომი იგივე თელ ერ-რეტაბეხია) მერ-[ნე]-პტახ ხოტეპ-ჰირ-მაატ[ის], რომელიც არის ტჯეკუ(ში), ისინი და მათი საქონელი ცოცხალია ფარაონის დიადი კას მეშეობით --სიცოცხლე, კეთილდღეობა, ჯანმრთელობა! --თითოეულ მიწას კარგი მზე ჰქონდეს, მერვე წელს, 5 [დამატებული] დღე, სეთის [დაბადება]. მე ეს მოვიტანე ანგარიშის ხელნაწერში ა[დგილას, სადაც] ჩემი ბატონია, ისევე როგორც დღეთა სხვა სახელები, როცა მერ-ნე-პტახ ხოტეპ-ხირ-მაატის ციხე-სიმაგრე --სიცოცხლე, კეთილდღეობა, ჯანმრთელობა! --რომელიც არის [ტჯეკუ(ში)]ში, შესაძლოა გავიძღეს...

**გამოქვეულ მონათა გამოდევნება, შეადარე: ANET, გვ. 259. ანასტასი V პაპირუსი: 19.2-20.6.**

ტჯეკუს მშვილდოსანთა ხელმძღვანელი, კა-კემ-ვერი, ანის მშვილდოსანთა ხელმძღვანელს და ბაკ-ენ-პტახის მშვილდოსანთა

ხელმძღვანელს: ცხოვრება, კეთილდღეობა, ჯანმრთელობა! ამონ-რეს, ღვთაებათა მეფის და კას, ზედა და ქვემო ეგვიპტის მფარველობით: უსერ-ხეფერუ, რე სეტეფ-ენ-რე (იგულისხმება სეთი II)--სიცოცხლე, კეთილდღეობა, ჯანმრთელობა! --ჩვენი კარგი ბატონი --სიცოცხლე, კეთილდღეობა, ჯანმრთელობა! მე ვეუბნები (XIX5) რე-ხარ-ახთის: “შეუნარჩუნე ფარაონს - სიცოცხლე, კეთილდღეობა, ჯანმრთელობა! ჩვენი კარგი ბატონი -- სიცოცხლე, კეთილდღეობა, ჯანმრთელობა!----ჯანმრთელობაში. დაე, მან აღნიშნოს მილიონი იუბილე, სანამ ჩვენ მისი მფარველობის ქვეშ ვართ ყოველდღიურად!” მეორე საკითხს ვხსნი: მე გამაგზავნეს სასახლის ფართო დარბაზებიდან -- სიცოცხლე, კეთილდღეობა, ჯანმრთელობა! --მესამე სეზონის მე-3 თვეში, დღე 9, საღამოს, ამ ორი მონის შემდეგ. ახლა როდესაც მე მოვალნიე ტჯეკუს გალავნის კედელს მესამე სეზონის მესამე თვის მე-10 დღეს, მათ მითხრეს [მე] ისინი ეუბნებოდნენ სამხრეთს, რომ მათ ჩაიარეს მესამე თვის მესამე თვისთვის, დღე 10 (XX [ახლა] როდესაც [მე] მივალნიე ციხე-სიმაგრეს, მათ მითხრეს რომ მზვერავი მოვიდა უდაბნოდან [რომელმაც განაცხადა, რომ] მათ გაიარეს სეთი მერ-ნე-პტახის მიგდოლას ჩრდილოეთით მყოფი კედლიანი ადგილი --სიცოცხლე, კეთილდღეობა, ჯანმრთელობა! --საყვარელი სეთის მსგავსად. როდესაც ჩემი წერილი მოაღწევს შენამდე, მომწერე მე ყველაფრის შესახებ, რაც [მათ] გადახდათ. ვინ ნახა მათი ნაკვალევი? რომელმა გუშაგმა ნახა მათი ნაკვალევი? რომელი ხალხი მიყვება მათ? მომწერე მე ყველაფრის შესახებ, რაც მათ გადახდათ და რამდენ ადამიანს აგზავნი შენ მათ შემდეგ. [დაე, შენი ჯანმრთელობა] იყოს კარგი!

**სამგლოვიარო წარწერები და დაკრძალვის წეს-ჩვეულებები, თარიღდება რკინის ხანით და სპარსული პერიოდით.**

**“აქატის ამბავი”, მომდინარეობს უგარიითიდან, ძვ. წ. XIV ს. (იხ. ზემოთ)**

ის ვისაც შეუძლია, აღმართოს სტელა მისი საგვარეულო ღვთაებისათვის  
ტაძარში, რომელშიც განისვენებს მის წინაპარი,

ვისაც შეუძლია დაღვაროს მისთვის სამსხვერპლო სითხე  
მინაზე,  
ღვინო, თუნდაც მტვრიანზე.

**ბიბლოსელი აჰირამის სამარხის წარწერები, თარიღდება ძვ.  
წ. ადრეული X საუკუნით. შეადარე: ANET, გვ. 661; P. Monteti, By-  
blos et l’Egypte, Paris, 1928-29, გვ. 236-238.**

სარკოფაგი, დამზადებული [ით]თობა’ლის, აჰირამის ვაჟის, ბიბლოსის მეფის მიერ აჰირამისთვის, მისი მამისთვის, მისი სამუ-  
დამო (საცხოვრებელი-)სასახლის სახით. თუ ბიბლოსში გამოჩნდება  
მეფე მეფეთა შორის და მმართველი მმართველთა შორის და ჯარის  
მეთაური, რომელიც გახსნის ამ სარკოფაგს, დაე, მისი სამართ-  
ლებრივი საკითხი აღიძრას, დაე, მისი სამეფო ტახტი გადაბრუნდეს!  
დაე, მშვიდობა წავიდეს ბიბლოსიდან და თავად ის განადგურდეს!

**“სიდონელი ტაბნიტი” თარიღდება ძვ. წ. V ს. დასაწყისით,  
შეადარე ANET, გვ. 662. ეს წარწერა, რომელიც არქეოლოგიური  
გათხრების შედეგად აღმოჩნდა 1887 წელს, თარიღდება აქე-  
მენიდების პერიოდით, ადრეული ძვ.წ. V საუკუნით. M. Lidzbarski,  
Hanavucnordsemitischen Epigraphic, Weimar, 1898, გვ. 417, Vol. IV.**

სიდონის მეფე ტაბნიტი დაკრძალეს ეგვიპტურ სარკოფაგში,  
რომელზეც მან გააკეთა საკუთარი წარწერა. მისი მუმიფიცირე-  
ბული სხეულის მიხედვით ის იყო ძლიერი მამაკაცი, ხვეული მონ-  
ითალო-ყავისფერი თმით, რომელიც მას შეღებილი ჰქონდა ინით.  
მეფე ტაბნიტი და მისი მეუღლე ამოაშტარტა იყვნენ ასტარტეს  
ქურუმები და სიდონის მეფის ეშმუნაზარ I შვილები.

მე, ტაბნიტი, ასტარტას ქურუმი, სიდონის მეფე, ეშმუნ’აზარის  
ვაჟი, ასტარტეს ქურუმი, სიდონის მეფე, განვისვენებ ამ სარკოფ-  
აგში. ვინც უნდა იყო შენ, ვინც ნახავს ამ სარკოფაგს, არა, არ გაალო  
და არ შემანუხო მე, რადგან არანაირი ვერცხლი, ოქრო და არანაირი  
სამკაული არ მოუციათ ჩემთვის! მხოლოდ (მე თვითონ) ვწევარ ამ

სარკოფაგში. ნუ, ნუ გააღებ მას და ნუ შემანუხებ მე, რადგან ამგვარი საქციელი ზიზლის გამოხატვაა ასტარტეს მიმართ! მაგრამ თუკი შენ გააღებ მას და შემანუხებ მე, დაე, შენ არ გყავდეს თესლი ცოცხალთა შორის, მზის ქვეშ ან დანარჩენ ადგილას ჩრდილ ქვეშ!

**ჰიქსოსები, ანუ უცხო ქვეყანათა გამგებლების თემა ეგვიპტურ წყაროებში, თარიღდება შუა ბრინჯაოს ხანით. შეადარე: ANET, გვ. 231.**

მომისმინეთ თქვენ ყველა ხალხმა და ადამიანებმა იმდენმა, რამდენიც შეიძლება იყოს, მე გავაკეთე ეს საქმეები ჩემი გულის კარნახით. მე არ მიძინია თავდავინწყებით, (მაგრამ) მე აღვიდგინე ის, რაც განადგურდა. მე აღვადგინე ის, რაც წინათ ნაწილებად იყო ქცეული, მას შემდეგ, რაც ასიატები იყვნენ ჩრდილოეთი ქვეყნის ავარისის შუაგულში და მოხეტიალეები იყვნენ მათ შორის, რომელთაც დაამხეს ის, რაც იქნა გაკეთებული. ისინი მბრძანებლობდნენ რას გარეშე, და ის არ იქცეოდა ღვთაებრივი სურვილის თანახმად, ჩემი უდიდებულესობის სურვილით. (ახლა) მე დავფუძნდი რას სამეფო ტახტებზე...

**ჰიქსოსებს განდევნა, შეადარე: ANET, გვ. 233-234.**

ხალხის მეთაური ახ-მოსე, ებენის ვაჟი, გამარჯვებული ამბობს:

მე მოგმართავთ თქვენ, მთელს კაცობრიობას, რომ მე შემიძლია შეგატყობინოთ ჩემზე გადმოსული წყალობის შესახებ. მე ჯილდოს სახით ოქრო შვიდჯერ მივიღე მთელი ქვეყნის თანდასწრებით, მამრი და მდედრი მონები, მივიღე უფლება ძალიან ბევრ მინდორზე. მამაცი კაცის (სახელი) იქმნება იმით, რაც მას გაუკეთებია და არა იმით, რაც განადგურებულა ამ მიწაზე სამუდამოდ.

ის ამბობს ასე:

მე გავიზარდე ქალაქ ელ-ქაბში, მამაჩემი იყო მეომარი ზემო და ქვემო ეგვიპტის მეფის: სექნენ-რე გამარჯვებულის, მისი სახელი იყო ბებე (5), რო-ონეტის (ქალის) ვაჟი. შემდეგ მე ვიმსახურე მის

გემზე “გარეული ხარი”, ორი ქვეყნის მბრძანებლის: ნებ-ფეხთირეს, გამარჯვებულის დროს, როცა მე (ჯერ კიდევ) ბიჭი ვიყავი, სანამ ცოლს შევირთავდი, (მაგრამ) სანამ მე (ჯერ კიდევ) მეძინა ბადის ჰამაკში.

მაგრამ მას შემდეგ, რაც მე მოვეკიდე ოჯახურ მეურნეობას, შემდეგ მე წამიყვანეს გემზე “ჩრდილოეთი”, რადგან მე ვიყავი გულადი. ამგვარად, მე შევეჩვიე დამოუკიდებელ ცხოვრებას, კეთილდღეობას, ჯანმრთელობას! მე ფეხით მივყვებოდი მის ეტლს, როდესაც ქალაქ ავარისის ალყა შემოერტყა, მაშინ მე გამოვიჩინე სიმამაცე მისი უდიდებულესობის თანდასწრებით. შემდგომ მე დამნიშნეს გემზე “გამოჩენა მემფისში”. შემდგომ წყალზე გაიმართა ბრძოლა ავარისის ფადჯედკუს არხში. შემდეგ მე დავიპყარი, (10) და გავიტაცე სამუშაო ძალა (მონები). ეს ეცნობა მეფის მაცნეს. შემდეგ მე მომენიჭა *სიმამაცის ოქრო*. შემდეგ კვლავ გაიმართა ბრძოლა ამ ადგილას. შემდეგ მე დავიპყარი კვლავ და წამოვიყვანე სამუშაო ძალა (მონები). შემდეგ მე კვლავ მომენიჭა *სიმამაცის ოქრო*.

შემდეგ ბრძოლა გაიმართა ეგვიპტეში, ამ ქალაქის სამხრეთით. შემდეგ მე წამოვიყვანე კაცი ცოცხალი პატიმარის (სახით). მე ჩავედი  
*ქნოუს წყალში*. ის აიყვანეს ტყვედ ქალაქ ქანდის მხარეს, გადალახა რა  
წყალი, რომელიც ატარებდა მას. მოხსენება გაუკეთდა მეფის მაცნეს. შემდეგ  
მე კვლავ ოქროთი დამაჯილდოვეს.

შემდეგ ავარისი გაძარცვეს. შემდეგ მე წამოვიყვანე ნადავლი იქიდან: ერთი  
კაცი, სამი ქალი, მთლიანად ოთხი ადამიანი. შემდეგ მისმა უდიდებულესობამ  
მიბოძა ისინი მე მონებად.

შემდეგ (15) შარუხენი ალყაშემორტყმული იყო სამი წლით. შემდეგ მისმა უდიდებულესობამ გაძარცვა ის. შემდეგ მე წამოვიყვანე

ნადავლი იქიდან: ორი ქალი და ერთი მუშა ხელი. შემდეგ მე მომცეს სიმამაცის ოქრო და ჩემი ნადავლი მე მიბოძეს მონების სახით. ახლა, მას შემდეგ რაც მისმა უდიდებულესობამ მოკლა აზიელები, შემდეგ მან გაცურა გემით სამხრეთისკენ ხენთი-ხენ-ნეფერისკენ, ნუბიელი მომთაბარეების გასანადგურებლად.....

**ლაქიშის წერილები ქანაანიდან, თარიღდება რკინის ხანით, ძვ. წ. VII-VI სს. შეადარე: ANET, გვ. 321-322, ლაქიშის IV ოსტრაკონი.**

**21 ოსტრაკონი აღმოჩენილია ლაქიშის II ფენაში და მიჩნეულია, რომ მიეკუთვნება ქალდეური ალყის პერიოდს.**

**(ძვ. წ. 598/588 წწ.)**

დაე, იაჰვე იყოს ჩემი ბატონი, გაიგოს დღის ეს მეტად კარგი ამბები!...

და დაე, (ჩემმა ბატონმა) იცოდეს, რომ ჩვენ ვუთვალთვალებთ ლაქიშიდან მინიშნებას იმ მითითებების შესაბამისად, რაც ჩვენმა ბატონმა გვიბოძა, რადგან ჩვენ არ შეგვიძლია დავინახოთ აზეკახი.

**“მეშას სტელა”, თარიღდება რკინის ხანით, ძვ. წ. IX საუკუნე. შეადარე: ANET, გვ. 320-321. აღნიშნული წარწერა მომდინარეობს პალესტინიდან. წარწერა გაკეთებულია ქვაზე და ეკუთვნის მოაბის მეფეს მეშას. წარწერა უკავშირდება მეშას გამარჯვებას ისრაელზე. შდრ. 2 მეფ. 3:4.**

“მეშას სტელა” შესრულებულია სამეფო მემორიალურ ძეგლზე და მოგვითხრობს მეშას გამარჯვებას ისრაელზე ქემოშის, მოაბის მთავარი ღვთაების წყალობით; აღნიშნული გამარჯვების გამო მეშამ წარწერის განთავსება ბრძანა შემალღებულ ადგილას, რომელიც მან ააგო ქემოშის პატივსაცემად.

ქემოში და მასთან დაკავშირებული სახელები მეშას წარწერაში ჩნდება დაახლოებით 12-ჯერ. ქემოში წარმოადგენდა მოაბის არა მხოლოდ მთავარ, მფლობელ, არამედ ასევე იმ პერიოდის გენოთეისტური ორიენტაციის მქონე ღვთაებას, რომელიც ამავე დროს იყო მოაბიტური პანთეონის უმაღლესი რანგის მქონე ღვთაება.



აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა რეგიონის ძირითად ისტორიულ ტრანსორმაციებს; ასე მაგალითად, ასურეთის მეფე სალმანასარა III ძვ. წ. მეცხრე საუკუნის შუა წლებში ექვსი ლაშქრობა განახორციელა სამხრეთ სირიაში. აღნიშნულ ქმედებას თავდაპირველად დაუპირისპირდა კოალიცია, რომელიც შედგებოდა სამხრეთ ლევანტის სხვადასხვა სახელმწიფოსგან, რომელთა შორის იყო ისრაელი, დამასკო და ჰამათი. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს ასევე ასურის ექსპანსიის დაწყებაზე ძველი დასავლეთ აზიის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. ძვ. წ. IX საუკუნეში ასურის მიერ სხვადასხვა ჩრდილოეთ სირიული სახელმწიფოების პროვინციების სახით შემოერთებამ ხელი შეუწყო ძვ. წ. VIII საუკუნის შორეულ სამხრეთსა და დასავლეთში ახალი სანაპირო სახელმწიფოების შექმნას; ასურის ექსპანსიურ გეგმაში შედიოდა ახალი სახელმწიფოების შემოერთება, თუმცა აღნიშნული გეგმის განხორციელებას ასური გარკვეული ინტერვალებით ახერხებდა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ასური საერთოდ არ ჩანდა ადგილობრივ ისტორიულ სცენაზე (დაახლოებით ძვ. წ. 830-803 წწ.), მაშინ, როცა სხვადასხვა ადგილობრივი ძალები, როგორცაა, მაგალითად, არამი (დამასკო), ისრაელი (სამარია) და მოაბიც კი (დიბონი) ახორციელებდნენ დამპყრობლურ შეტევებს საკუთარი მეზობლების დამორჩილების მიზნით.

მე (ვარ) მეშა, ქემოშ-[....]ის ვაჟი,  
დიბონიტების მეფის ვაჟი, მამაჩემმა იმეფა მოაბზე  
ოცდაათი წელიწადი და მე ვიმეფე მამაჩემის შემდეგ,  
(რომელმაც) აქცია ეს მალლობი ქემოშისთვის  
ქარხოხში [....], რადგან მან გადამარჩინა მე ყველა  
მეფისგან და მომცა გამარჯვება ყველა  
ჩემს მტერზე. რაც შეეხება ყომრის, ისრაელის მეფეს, მან  
დათრგუნა მოაბი მრავალ წელს, დღეს, რადგანაც ქემოში  
გაბრაზებული იყო მის მიწა-წყალზე. და მისი ვაჟი მოჰყვა მას  
და მანაც თქვა, “მე დავიმორჩილებ მოაბს”. ჩემს  
დროს ის საუბრობდა (ამგვარად), მაგრამ მე გავიმარჯვე  
მასზე და მის სახლზე, მაშინ, როცა ისრაელი

დაიღუპა სამუდამოდ! (ახლა), ყომრიმ დაიპყრო მებედას მიწა, და (ისრაელი) დასახლდა იქ მის დროს, და მისი ვაჟის (აქაბის) დროს, ორმოცი წლით; მე ქემოშში დავსახლდი იქ ჩემს დროს. და მე ავაშენე ბაალ-მეონი, გავაკეთე საგანძური მასში, და ავაშენე (10) ქარიატენი. გადის კაცებს ახლა აქვთ გზები ათაროთის ქვეყნისაკენ, და ისრაელის მეფემ ააშენა ათაროთი მათთვის; მაგრამ მე ვიბრძოლე ქალაქის წინააღმდეგ და ავიღე იგი და განვგმირე ქალაქის ყველა მაცხოვრებელი, გული ვიჯერე, გავბრუვდი მოაბის ქემოშისათვის. და მე იქიდან წამოვიყვანე არელი (ან ორიელი), მისი ჯარის უფროსი, ვათრიე ქემოშის წინაშე ქერიოთში და მე იქ დავასახლე შარონის და მახარიოთის კაცები. და ქემოშმა მითხრა, “წადი, წაიყვანე ნებო ისრაელიდან!” (15) ასე რომ მე წავედი ღამით და ვიბრძოლე მის წინააღმდეგ განთიადიდან - შუადღემდე, ავიყვანე და მოვკალი ყველა, შვიდი ათასი კაცი, ბიჭი, ქალი, გოგო და მოსამსახურე, რადგან მე მათი განადგურება მივუძვენი (ღვთაება) აშთარ-ქემოშს. და იქიდან მე წამოვიყვანე იაჰვეს [..]. ვათრიე რა ისინი ქემოშის წინაშე. და ისრაელის მეფემ ააშენა იაჰაზი და ის დასახლდა იქ, სანამ ის იბრძოდა ჩემს წინააღმდეგ, მაგრამ ქემოშმა გამოიყვანა იგი ჩემს წინაშე. და (20) მე წამოვიყვანე მოაბიდან ორასი კაცი, ყველა საუკეთესო (მეომრები), გავაგულიანე ისინი იახაზის წინააღმდეგ და ავიღე იგი, რომ მიმეერთებინა დიზონისათვის (რაიონი). ეს მე ვიყავი, (ვინც) ააშენა ქარხოხი, ციხე-სიმაგრეების კედელი და ციტადელის კედელი; მე ასევე ავაშენე მისი ჭიშკარი და მე ავაშენე მისი კოშკი და მე ავაშენე მეფის სახლი და მისი ორივე წყალსაცავი მე მოვაქციე კოშკის შიგნით. და ქალაქის შიგნით ქარხოხში არ იყო წყალსაცავი,

ასე რომ მე ყველა ადამიანს ვუთხარი, “დაე, თითოეულმა თქვენ-  
განმა  
გააკეთოს წყლის მარაგი მისსავე სახლში!” და მე  
ქარხობისათვის მოვჭერი კოჭები ისრაელელი ტყვეების გამოყ-  
ენებით. მე  
ავაშენე აროერი და მე შევექმენი მთავარი გზა  
არნონში (ველი); მე ავაშენე ბეთ-ბამოთი, რადგან ის  
განადგურებული იყო; მე ავაშენე ბეზერი --რადგან ის  
ნანგრევებში იყო --დიბონიდან ორმოცდაათი კაციით, რადგან  
მთელი დიბონი  
(ჩემზეა) დამოკიდებული.  
და მე ასობით ქალაქზე ვიმეფე [მშვიდობით],  
რომელიც მე მივამატე ჩემს ქვეყანას. და მე  
ავაშენე (30) [...] მედება და ბეთ-დიბლათენი  
და ბეთ-ბაალ-მეონი, და მე დავსვი იქ [...] მიწაზე.  
რაც შეეხება ხაურონენს, იქ დამკვიდრდა  
[...და] ქემოში, მე მითხრა, ჩადი,  
იბრძოლე ხაურონენის წინააღმდეგ. და მე ჩავედი [და]  
ვიბრძოლე ქალაქის წინააღმდეგ და ავიღე იგი] და  
ქემოში დასახლდა იქ ჩემს დროს...

**“რამსეს II აზიური ლაშქრობა”, თარიღდება გვიანი ბრინჯაოს  
ხანით, ძვ. წ. XIII ს., შეადარე: ANET, გვ. 255-256.**

და აი, მისმა უდიდებულესობამ მოამზადა (8) მისი ქვეითი ჯარი, მისი ეტლები და მისი უდიდებულესობის ჯარისკაცები შერდენები, რომლებიც მან წამოიყვანა მისი ჯარის გამარჯვებებისას, აღჭურვა ისინი იარაღით, გაიცა საბრძოლო ბრძანებები. მისი უდიდებულესობა გაემგზავრა ჩრდილოეთით, მისი ქვეითი ჯარი და ეტლები მასთან ერთად. მან დაიწყო ლაშქრობა კარგ გზაზე მე-5 წელს, მესამე სეზონის მე-2 თვეს, მე-9 დღეს. (როდესაც) მისმა უდიდებულესობამ გაიარა სილის ციხე-სიმაგრე. [ის] გავდა მონტუს, რომელიც წინ მიიწევს, (ასე რომ) თითოეული უცხო ქვეყანა თრთოდა მის წინაშე, მათ მეთაურებს მოჰქონდათ ხარკი და ყველა მეთამბოხე მოდიო-

და, მუხლს იყრიდა მისი უდიდებულესობის სიღიადის შიშით. მისი ქვეითი ჯარი წავიდა ვინრო გასასვლელში ისე, თითქოს ეგვიპტის მთავარ გზაზე მიდიოდნენ. ახლა, მას შემდეგ, რაც დღეები გავიდა, როდესაც მისი უდიდებულესობა იყო რამსეს მერი-ამონში, ქალაქში, რომელიც არის კედარის ველზე. მისმა უდიდებულესობამ გზა განაგრძო ჩრდილოეთით. მას შემდეგ, რაც მისმა უდიდებულესობამ მიაღწია კადეშის მთათა უღელტეხილს, მისი უდიდებულესობა წავიდა წინ მისი მამის მონტუს, თებეს მბრძანებლის მსგავსად და მან გადალახა (12) ორონტის ფონი ამონის პირველი დივიზიით, (სახელწოდებით) “ის გამარჯვებას ანიჭებს უსერ-მაატ-რე შეთეფენ-რეს”. მისმა უდიდებულესობამ მიაღწია კადეშის ქალაქს ...ახლა საცოდავი მტერი, ხათის ქვეყნის კუთვნილება, მრავალრიცხოვანი უცხო ქვეყნებით, რომელნიც მასთან იყვნენ, ელოდებოდნენ ჩასაფრებულები და მზად ყოფნაში იყვნენ ქალაქ კადეშის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მაშინ, როცა მისი უდიდებულესობა მარტო იყო (17) მის მხლებლებთან ერთად. ამონის დივიზია წინ მიიწევდა მის უკან; რას დივიზია ფონს გადიოდა ქალაქ შაბთუნას სამხრეთით მდებარე რაიონში, ერთი იტერით დაცილებული მისი უდიდებულესობისაგან; პტახის დივიზია იყო ქალაქ არნაიმის სამხრეთით; და სეთის დივიზია კი, მიიწევდა გზაზე. მისმა უდიდებულესობამ მისი ჯარის ყველა წინამძღოლისგან ბრძოლის მწკრივი შექმნა, მაშინ როცა ისინი (ჯერ კიდევ) ამურუს ქვეყნის სანაპიროებთან იყვნენ...

წელიწადი 5, მესამე სეზონის მე-3 თვე, დღე 9, (რამსეს II) უდიდებულესობის გამგებლობის დროს. როცა მისი უდიდებულესობა იყო დჯაჰიში მისი მეორე გამარჯვებული ლაშქრობისას, კეთილცხოვრებაში, კეთილდღეობა და ჯანმრთელობა იყო მისი უდიდებულესობის კარავში, კადეშის სამხრეთით მდებარე მთათა უღელტეხილზე. ამის შემდეგ, განთიადის დროს, მისი უდიდებულესობა რას ამოსვლის მსგავსად გამოჩნდა და მან მიიღო მისი მამის, მონტუს მორთულობა. მბრძანებელმა გზა განაგრძო ჩრდილოეთით და მისი უდიდებულესობა ჩავიდა ქალაქ შაბთუნას სამხრეთით მიმდებარე ტერიტორიაზე...

## რამსეს II შემდეგი ლაშქრობა

ქალაქი, რომელიც მისმა უდიდებულესობამ  
ააოხრა მე-8 წელს, მერომი.

ქალაქი, რომელიც მისმა უდიდებულესობამ  
ააოხრა მე-8 წელს, სალემი.

ქალაქი, რომელიც მისმა უდიდებულესობამ  
ააოხრა ბეთ-ანათის მთაზე, კერეფი (პალესტინა).

ქალაქი, რომელიც მისმა უდიდებულესობამ  
ააოხრა ამურუს ქვეყანაში, დეფერი (ტუნიზის რეგიონი  
სირიაში).

ქალაქი, რომელიც მისმა უდიდებულესობამ  
ააოხრა, აკრე.

საძაგელი ქალაქი, რომელიც მისმა უდიდებულესობამ აიღო,  
როდესაც ის იყო

დასუსტებული აშქელონი.

იგი ამბობს: “ბედნიერია ის, ვინც

მოქმედებს შენი ერთგულებით, (მაგრამ) უბედურება მას, ვინც

შესცოდავს. შენი საზღვარი! გადადე მემკვიდრეობა

ისე, რომ ჩვენ შევძლოთ დავუკავშიროთ შენი ძალა თითოეულ  
თავხედ უცხო ქვეყანას!”

**რამსეს II ბეთ-შენის სტელა, შეადარე: ANET, 254; აგრეთვე,  
Bulletin of the American Schools of Oriental Research, 1952, გვ. 254,  
24-32.**

წელი 9,

მეორე სეზონის მე-4 თვე, დღე 1... გამთენიისას, მან აიძულა

უკან დაეხიათ აზიელებს... ისინი ყველა მოდიან მის სასახლეში,

სიცოცხლისა და კმაყოფილების სივრცეში, პერ-რამზეს-მერი-ამო-

ნი – დიდი გამარჯვებული

(სატახტო ქალაქი დელტაში)...

**სინახერიბის ლაშქრობის ტექსტი თარიღდება რკინის ხანით,  
ძვ. წ. VIII საუკუნე. შეადარე: ANET, გვ. 287-88. იერუსალიმის აღ-**

**ყის (კერძოდ ლაქიშის ალყა) და სინახერიბის ლაშქრობის ტექსტი ამოტვიფრულია სინახერიბის პრიზმაზე;**

დვ. ნ. 705 ნ. ჩრდილო-დასავლეთში განხორციელებული ბრძოლის დროს სარგონ II დაღუპვის შემდგომ ასურის სამეფო ტახტი დაიკავა მისმა მემკვიდრე სინახერიბმა. ასურის სამეფო ტახტის მფლობელის შეცვლისთანავე დაიწყო აჯანყებები ასურის ვასალ სახელმწიფოებს შორის. სინახერიბის ტახტზე ასვლიდან ერთი წლის განმავლობაში ბაბილონში იფეთქა სერიოზულმა აჯანყებამ მეფის წინააღმდეგ. სინახერიბის 24-წლიანი მეფობის ყველაზე დიდ სირთულეს სწორედ ბაბილონის წარმატებულად მართვა წარმოადგენდა. სინახერიბის მიერ მშვიდობის დამყარების გეგმებს ხელი შეუშალეს მისმა მტრებმა, რომელთაც აჯანყებების ცეცხლი დაანთეს ყველგან, სადაც ამის შესაძლებლობა იყო.

სინახერიბმა საკუთარი სამხედრო საქმეები აღწუსა ასურული ტრადიციის შესაბამისად, რომლის მრავალი ასლია შემორჩენილი. ანალების მრავალი ვერსია შეიქმნა სინახერიბის მბრძანებლობის პერიოდში და მათი შინაარსი იცვლებოდა პოლიტიკური მდგომარეობისა და იდეოლოგიური შეხედულების შესაბამისად.

(2-3 49)

ჩემი მესამე ლაშქრობის დროს მე გავილაშქრე ხათის წინააღმდეგ.

ლული, სიდონის მეფე, რომელიც განაცვიფრა ჩემი მბრძანებლობის

სისასტიკემ, გაიქცა შორს,

ზღვის იქით და გაუჩინარდა. ჩემი მბრძანებლის, აშურის თავზარდამცემი “იარალის” ბრწყინვალეობამ

გაანადგურა მისი ძლიერი ქალაქები, (როგორიცაა) დიდი სიდონი, პატარა სიდონი, ბით-ზითთი, ზარიბთუ, მახალლიბა, უშუ (ანუ ტვიროსის მატერიკული დასახლება),

აკზიბი (და) აქქო, (ყველა) მისი ციხე-

ქალაქები, კედლებით გარშემორტყმული და გარნიზონებისთვის (კარგად) საკვებით და წყლით უზრუნველყოფილი, და მათ მორჩილებით ქედი მოიხარეს ჩემს

ფერხთან. მე დავსვი ეთბა'ალი  
 (თუბა'ლუ) ტახტზე მათ მეფედ და  
 დავაკისრე მას ხარკი ჩემთვის, (რომ მის)  
 მბრძანებელს (გადაეხადოს) ყოველწლიურად,  
 შეუჩერებლად. რაც შეეხება ყველა მეფეს:  
 ამურუს მენახემი (მი-ინი-იმ-მუ),  
 სამსიმურუნადან, თუბა'ლუ სიდონიდან, აბდილი'თი  
 არვადიდან, ურუმილქი ბიბლოსიდან, მითინთი  
 აშდოდიდან, ბუდუილი ბეთ-ამონიდან, ქამუსუნაბდი  
 მოაბიდან (და) აიარამუ ედომიდან, მათ  
 მოიტანეს საუცხოო საჩუქრები ოთხჯერ (იგისუ)  
 და მათი ურიცხვი თამართუ - საჩუქრები  
 და მემამორნენ მე ფეხებზე. თუმცა, სიდეამ, მეფემ  
 აშქელონისა, რომელმაც ქედი არ მოიხარა ჩემი უღელის  
 წინაშე, მე გადავასახლე და გავაგზავნე ასურში, მისი ოჯახის  
 ღვთაებები,  
 თვითონ, მისი მეუღლე, მისი ბავშვები, მისი ძმები,  
 მისი ოჯახის ყველა მამრობითი სქესის წარმომადგენელი. მე  
 დავსვი  
 შარულუდარი, რუქიბთუს ვაჟი, მათი ყოფილი  
 მეფე, აშქელონის მაცხოვრებლების მეფედ და  
 დავაკისრე მას ხარკის (და) ქათრუ - საჩუქრების  
 გადახდა ჩემთვის, (როგორც) მბრძანებლის მიმართ  
 და ის (ახლა) ზიდავს (ჩემი უღელის) ღვედებს!  
 ჩემი ლაშქრობის გაგრძელებისას, მე ალყა შემოვარტყი ბეთ-  
 დაგონს, იოფას, ბანაი-ბარქას, აზურუს, ქალაქებს,  
 რომლებიც განეკუთვნება სიდეიას, რომელმაც არ მოიყარა  
 ქედი ჩემს ფერხთან (სათანადოდ) სწრაფად; მე დავიპყარი  
 (ისინი) და  
 წავიღე მათი ნადავლი. ყეკრონის მოხელეებმა,  
 დიდებულებმა და (ჩვეულებრივმა) ხალხმა,  
 დაატყვევა ფადი, მათი მეფე  
 (რადგან ის იყო) ერთგული (მისი) ბრწყინვალე  
 ფიცისადმი (რომელიც მან დადო) აშურის ღვთაებასთან, და

გადასცეს იგი ხიზკიაჰუს, ებრაელს (ჰა-ზა-ქი-(ი)ა-უ  
 ამე-ლა-უ'-და'ი) (და) მან (ხიზკიაჰუმ) დაიჭირა ის  
 ციხეში, უკანონოდ, თითქოს ის (ფადი) ყოფილიყო  
 მტერი, შეშინდა და მოუხმო  
 (დახმარებისთვის) ეგვიპტის მეფეების (მუ,ს(უ)რი) (და)  
 მშვილდოსნებს, ეტლოსნებს და კავალერიას  
 ეთიოპიის მეფისას (მელუჰჰა), უთვალავი ჯარი  
 (ფაქტიურად) მოვიდნენ  
 მათ დასახმარებლად. ელთეკეხის ველზე  
 (ალ-ტა-ქუ-უ) მათი საბრძოლო მწკრივები  
 ჩამოყალიბდა ჩემს წინააღმდეგ და მათ გალესეს მათი იარაღი.  
 აშურის, ჩემი მბრძანებლის რწმენით, (შთაგონებული)  
 წინასწარმეტყველების  
 საფუძველზე, მე შევებრძოლე მათ და  
 დავამარცხე ისინი. ბრძოლის მსვლელობისას,  
 მე პირადად ცოცხლად შევიპყარი  
 ეგვიპტელი ეტლოსნები მა(თ) უფლისწულებთან ერთად და  
 (ასევე) ეთიოპიის მეფის ეტლოსნები.  
 მე ალყა შემოვარტყი ელტეკეჰს (და) თიმნას (თა-ამნა-ა),  
 დავიპყარი (ისინი) და წამოვიღე მათი ნადავლი.  
 მე თავს დავესხი ყეკრონს და მოვკალი მოხელეები და  
 დიდებულები, რომელთაც ჩაიდინეს დანაშაული და დავკიდე  
 მათი სხეულები ქალაქის გარშემო ბოძებზე.  
 (ჩვეულებრივი) მოქალაქეები, რომელნიც უმნიშვნელო  
 დანაშაულში  
 იყვნენ მხილებულები, მე მივიჩნეე ომის ტყვეებად. დანარჩენი  
 მათგანი, რომელნიც არ იყვნენ (შემჩნეული) დანაშაულში და  
 ცუდ საქციელში, მე გავათავისუფლე. მე ვაიძულე ფადი, მათი  
 მეფე წამოსულიყო იერუსალიმიდან (ურ-სა-ლი-იმ-მუ) და  
 დავსვი ის სამეფო ტახტზე მათ მბრძანებლად, დავაკისრე  
 რა ხარკი ჩემთვის, როგორც (მბრძანებლის) მიმართ.  
 რაც შეეხება ხიზკიაჰუს, ებრაელს, ის არ დაემორჩილა  
 ჩემს უღელს, მე ალყა შემოვარტყი მის ორმოცდაექვსამდე  
 ძლიერ



ქალაქს, კედელი შემოვავლე მცირე ციხე-სიმაგრეებსა და უამრავ მცირე სოფელს მათ მეზობლად და დავიპყარი (ისინი), კარგად გათხრილი არხები მივიყვანე (ასე) ახლოს გართიანებული ძალებით (კედლებთან), მივიტანე იერიში ქვეითი ჯარისკაცებით, (გამოიყენეს რა) ნალმები, იარაღი, ისევე როგორც ფეთქებადი ნაწარმი. მე (მათგან) გამოვიყვანე 200, 150

ადამიანი, ახალგაზრდა და მოხუცი, მამრი და მდედრი, ცხენები, ჯორები, ვირები, აქლემები, დიდი და მცირე პირუტყვი დაუთვლელად და მივიჩნიე (ისინი) ალაფად.

მე ის დავატუსალე იერუსალიმში, მის სამეფო რეზიდენციაში, როგორც ჩიტი გალიაში. მე ქალაქის გარშემო გავაჩაღე მიწის სამუშაოები, რომ გამეღიზიანებინა ისინი, რომლებიც წარმოადგენდნენ მისი ქალაქის კარიბჭეს. მისი ქალაქები, რომელიც მე გავძარცვე, მე წარვტაცე მის ქვეყანას და გადავეცი ისინი მითინთის, აშდოდის მეფეს, ფადის, - ყეკრონის მეფეს და სილიბელს, - ლაზას მეფეს. ამგვარად, მე შევამცირე მისი ქვეყანა, მაგრამ მე კვლავ გავზარდე ხარკი და ქათრუ – საჩუქრები ჩემთვის, (როგორც მბრძანებელისთვის), რომელიც მე (მოგვიანებით) დავაკისრე მას ყოველწლიურად.

ხიზკიაჰუ თავად, რომელიც განადგურდა ჩემი მბრძანებლობის სისასტიკით, და ვისმა არარეგულარურმა და ელიტურმა ჯარებმა, რომლებიც მან მიიყვანა იერუსალიმში, მის სამეფო რეზიდენციაში (მის) გასაძლიერებლად, მიატოვეს იგი, მე მოგვიანებით გავემგზავრე ნინევში, ჩემს დიდებულ ქალაქში, ოქროს 30 ტალანტით, 800 ვერცხლის ტალანტით, ძვირფასი ქვებით, წითელი ქვების

ფართო ფილებით, სპილოს ძვლით (ინკუსტრირებული)  
ტახტებით,  
სპილოს ძვლით (ინკუსტრირებული) ნიმედუ - სკამებით,  
სპილოს ტყავებით, ებაზონის-ხით, ბზით (და) ყველანაირი  
სახის ძვირფასი განძით, მისი (საკუთარი)  
ქალიშვილებით, ხარჭებით, კაცი და ქალი  
მუსიკოსებით. იმისათვის, რომ გადმოეცა ხარკი  
პატივისცემის გამოსახატად, მან როგორც მონამ გამოაგზავნა  
თავისი მაცნე.

**სეთი I წარწერები, თარიღდება გვიანი ბრიონჯოს ხანით, ძვ.  
წ. XIII საუკუნე:**

**სეთი I ლაშქრობა ჩრდილოეთ პალესტინაში, შეადარე: ANET,  
გვ. 253-254.**

შედარებით მოკლე დროის მიუხედავად (ძვ. წ. 1303-1290 წწ.),  
ეგვიპტურმა ტრადიციამ სეთის I მეფობა ახალი ერის დასაწყისად  
გამოაცხადა და მართლაც, სეთი I მეფობამ შეამზადა ის დიდი ცვ-  
ლილებები საგარეო პოლიტიკაში, რომელიც განახორციელა “დიდ  
რამსესად” წოდებულმა მისმა ვაჟმა.

წელი 1,

მესამე სეზონის მე-3 თვე, დღე 10. სიცოცხლე ჰორუსს: ძლიერი  
ხარი, ჩნდება თებში, სიცოცხლეს ანიჭებს ორ ქვეყანას; ორი ქალ-  
ღმერთი: განმეორებადი შობა, მკლავის სიძლიერე, ცხრა მშვილდის  
მოგერიება: ოქროს ჰორუსი: განმეორებადი გამოჩენა, მშვილდების  
ძლიერება ყველა ქვეყანაში; ზემო და ქვემო ეგვიპტის მეფე, ორი  
ქვეყნის ბატონი: მენ-მაათ-რე [ირ]-ენ-რე; რეს ვაჟი, გვირგვინების  
ბატონი: სეთი მერ-ნე-პტახი, (სეთი I სრული ტიტულატურა) რე-  
ხარ-ახთის, დიადი ღვთაების საყვარელი (რჩეული). კეთილი ღვ-  
თაება, ძლევამოსილი მისი მკლავით, გმირული და მამაცი მონტუს  
დარად, მდიდარი ტყვეებით, (5) რომელმაც იცის, თუ (როგორ) გა-  
ნათავსოს მისი ხელი, ყურადღებით იყოს, სადაც კი ის არის; საუ-  
ბრობს მისი პირით, მოქმედებს მისი ხელებით, მისი ჯარის მამაცი  
წინამძღოლი, მამაცი მებრძოლი შუაგულ ბრძოლაში, ბასტიტი

საშინელი ბრძოლაში, შეაღწია აზიელების ჯგროში და აიძულა ისინი გატეხილიყვნენ, დაარტყა რა რეთენუს უფლისწულებს, მიაღწია (უკიდურეს) მიჯნებს, ვინც მის წინააღმდეგ იყო. მან აიძულა სირიის უფლისწულებს (ხარუ) უკან დაეხიათ, მათ კვეხნას, ვისი პირიც იყო (ასეთი) დიდი. ყოველი უცხო ქვეყანა დედამიწის კიდეში, მათი უფლისწულები ამბობენ: “სად წავიდეთ?” ისინი ატარებენ ღამეს ალთქმის მიცემაში და ამბობენ: შეხედეთ, შეხედეთ? მათ გულებში. ეს არის მისი მამის ამონის ძალა, რომელმაც მისცა მას მამაცობა და გამარჯვება. ამ დღეს ერთი ადამიანი მოვიდა სასაუბროდ მის უდიდებულესობასთან და უთხრა შემდეგი: (15) “უბედური მტერი, რომელიც ჰამათის ქალაქშია, იკრებს თავისთან ბევრ ხალხს, მაშინ, როცა ის ალყაში აქცევდა ბეთ-შეანის ქალაქს. შემდეგ ისინი პაჰელთან შეკრავენ კავშირს. ის არ აძლევს რეჰობის უფლისწულს გარეთ გასვლის უფლებას” (ეს ქალაქები ბეთ-შეანის ახლოს მდებარეობდა). ამის შემდგომ, მისმა უდიდებულესობამ გააგზავნა ამონის პირველი ჯარი, (სახელწოდებით) “მშვილდთა ძლიერება” ხამათის ქალაქში, რა-ს პირველი ჯარი, (20) სახელწოდებით “სიმამაცით მდიდარი” ბეთ-შეანის ქალაქში და სეთის პირველი ჯარი, (სახელწოდებით) “მშვილდთა სიძლიერე” - იანოამის ქალაქში. როდესაც დღე გავიდა, ისინი დაემხნენ მისი უდიდებულესობის, ზემო და ქვემო ეგვიპტის მეფის, დიდების, სიცოცხლის მომცემის: მენ-მაატრეს; რე-ს ვაჟის: სეთი მერ-ნე-პტახის წინაშე.

**სეთი I ლაშქრობა აზიაში, ტექსტი შეადარე ANET, გვ. 254-55, წარწერა ალბექდილია კარნაკის ტაძარის ფასაღზე.**

### **1. ლაშქრობა (ლაშქრობები) დჯაჰიში**

1 წელი აღორძინებისა, და ზემო და ქვემო ეგვიპტის მეფე, ორი ქვეყნის ბატონი: მენ-მაატრეს (სეთი I), სიცოცხლის მომცემი. შემდეგ ერთი პიროვნება მივიდა მის უდიდებულესობასთან, რომ ეთქვა: მტერი, რომელიც შასუს ეკუთვნის, აჯანყებას აწყობს (5).

მათი ტომის მეთაურები შეკრებილნი არიან ერთ ადგილას, იცდიან ხარუს მთაგრეხილზე. ისინი ხმაურობენ და ჩხუბობენ, ერთ-

ერთი მათგანი კლავს მის თანამოაზრეს. ისინი ანგარიშს არ უწევენ სასახლის წესებს. მისი უდიდებულესობის გული --სიცოცხლე, კეთილდღეობა, ჯანმრთელობა! --გაახარა ამან. (10)

ახლა რაც შეეხება კარგ ღვთაებას, ის ხარობს ბრძოლის დან-ყებით; ის მოხიბლულია მასზე განხორციელებული შეტევით; მისი გული კმაყოფილია სისხლის დანახვით. ის თავებს ჭრის თავნება გულის მქონეებს. მას მოსწონს (15) გათელვა ლხენის დღეზე მეტად. მისი უდიდებულესობა კლავს მათ ყველას ერთდროულად და არ ტოვებს მემკვიდრეებს მათ შორის. ის, ვინც დანდობილია მისი ხელით, ცოცხალი ტყვეა, რომელიც მიჰყავთ ეგვიპტეში.

## **2. ლაშქრობა (ლაშქრობები) დჯაჰიში**

(სადღაც პალესტინაში სეთი I იერიში მიიტანა გამაგრებულ ადგილზე, “ქანაანის ქალაქზე”, რომლის ადგილმდებარეობის განსაზღვრა ჩვენ არ შეგვიძლია). როგორც ტექსტიდან ჩანს, ეს უკავშირდება მის პირველ ექსპედიციას.

წელი 1, ზემო და ქვემო ეგვიპტის მეფის: მენ-მაატ-რესი. გად-ანგურება, რაც ფარაონის ძლიერი მკლავით განხორციელდა -- სიცოცხლე, კეთილდღეობა, ჯანმრთელობა! შასუს კუთვნილ სილის ციხე-სიმაგრედან ქანაანამდე. მძვინარე ლომის მსგავსად მისი უდიდებულესობა [გა]ბატონდა მათზე... ისინი აქციეს გვამებად მათ ველებზე, განრთხმულნი ისინი (საკუთარ) სისხლში, ისე, როგორც არასოდეს ყოფილა აქამდე.

## **3. ლაშქრობა (ლაშქრობები) დჯაჰიში**

მისი უდიდებულესობ[ის] დაბრუნება ზემო რეთენუდან, მან გააფართოვა ეგვიპტის საზღვრები. ნადავლი, რომელიც მისმა უდიდებულესობამ წამოიღო ამ შასუდან, რომელიც თვითონ მისმა უდიდებულესობამ დაიპყრო აღორძინების 1 წელს.

## **4. ლაშქრობა (ლაშქრობები) ზემო რეთენუში**

სხვა სიუჟეტები აღწერენ სეთი I კავშირებს ხეტებთან სირიაში. იგი ჩნდება მაშინ, როდესაც მას იერიში მიაქვს მთიან დასახლებაზე, “კადემის ქალაქზე” სირიაში.

“აღმასვლა, რაც ფარაონმა -- სიცოცხლე, კეთილდღეობა, ჯანმრთელობა!—განახორციელა კადემის ქვეყნის და ამურუს ქვეყნის ასაოხრებლად.”

ამ ლაშქრობის დროს ან შემდგომი ლაშქრობისას, ფარაონი სამხედრო დაპირისპირებაში შევიდა ხათის ძღვევამოსილ სახელმწიფოსთან. მეფე აღბეჭდილია ბრძოლისას ლეგენდაში:

“ხეტების საძაგელი ქვეყანა, სადაც მისმა უდიდებულესობამ --სიცოცხლე, კეთილდღეობა, ჯანმრთელობა! --განახორციელა დიდი ცოხვა-ჟღეტა.”

ეგვიპტეში მისი დაბრუნებისას, ფარაონმა ისიამოვნა ჩვეული ტრიუმფით და ჩვეულებისამებრ საჩუქრებით დააჯილდოვა უმაღლესი ღვთაება ამონი.

ხარკის [მირთმევა] კარგი ღვთაების მისი მამის ამონ-რეს, [ორი ქვეყნის] [სამეფო ტახტების] მბრძანებლის მიმართ მისი ხათის ქვეყნიდან დაბრუნებისას, გაანადგურა რა, მემამოხე ქვეყნები და დააქცია აელები მათ ადგილას... უბედური რეთენუს დიადი უფლისწულები, რომლებიც მისმა უდიდებულესობამ წამოიყვანა ხათის ქვეყნიდან გამარჯვებულმა, რათა შეავოს მისი მამის, ამონ-რეს, ორი ქვეყნის სამეფო ტახტების მბრძანებლის სამუშაო სახლი, რადგან მან გამოიჩინა სიმამაცე სამხრეთის წინააღმდეგ და გაიმარჯვა ჩრდილოეთის წინააღმდეგ...

**სეთი I ბეთ-შეანის სტელა, შეადარე: ANET, “Bulletin of the American Schools of Oriental Research”, (1952): გვ. 254, 24-32.**

ამ დღეს, ლო (10) [ერთი პიროვნება მოვიდა, რომ ეთქვა] მისი [უდიდებულესობისათვის]: აპირუს მთა იარმუტის (ოლბრაითის მიხედვით უნდა იყოს ბელვოირთან, ან მის მახლობლად, 10 კმ.-ის

დაშორებით ბეთ-შეანიდან), ტეიერთან ერთად..., [აღ]სდგნენ რე-ჰემის აზიელეზე განხორციელებული იერიშისას. შემდეგ [მისმა უდიდებულესობამ] თქვა: როგორ შეუძლიათ უბედურმა აზიელე-მა იფიქრონ მათი [ჯარების] [აყვანა] შემდგომი წინსვლისაკენ?... (16)... შემდეგ მისმა უდიდებულესობამ განკარგულება გასცა, რომ გარკვეული რაოდენობის ხალხს [ქვეითი ჯარიდან და მისი] მრავალრიცხოვანი ეტლებიდან, სახეები მოებრუნებინათ კვლავ უცხო ქვეყნის დეჰაჰისაკენ. ორი დღე გავიდა, [და ისინი გამარჯვებით დაბრუნდნენ] იე ქვეყნიდან., აიღეს რა [მათი] ხარკი, [რომელიც შედგება] ცოცხალი [ტყვეებისაგან] ნადავლის სახით...

### **სილოამის წარწერა, თარიღდება რკინის ხანით, ძვ. წ. VII საუკუნე. შეადარე: ANET, გვ. 321.**

ეს წარწერა აღმოჩნდა სილოამის გვირაბში და დათარიღებულია პალეოგრაფიული მონაცემების საფუძველზე, შდრ. 2 მეფ. 22:20 და 2 ქრონიკები 32:30, ხიზკიაჰუს მეფობის ხანა.

სილოამის წარწერა წარმოადგენს ხიზკიაჰუს მიერ აშენებულ გვირაბში (რომელიც უზრუნველყოფდა წყლის მიწოდებას გიფონის წყაროდან სილოამის გუბემდე, აღმოსავლეთ იერუსალიმში) აღმოჩენილი ტექსტის ნაწყვეტს. წარწერა აღწერს ძვ. წ. VIII საუკუნის გვირაბის მშენებლობას და ტრადიციულად იდენტიფიცირებულია როგორც “მემორიალური წარწერა”.

აღნიშნული წარწერა შედგება 6 ხაზისგან, რომლის პირველი ხაზი დაზიანებულია, სიტყვები კი, განცალკავებულია ნერტილით. ტექსტის თანახმად, ორივე მხარეს მუშაობა ერთდროულად დაიწყო და გაგრძელდა მანამ, სანამ ქვის მტეხელები შეხვდებოდნენ ერთმანეთს გვირაბის შუაში; 21-ე საუკუნის არქეოლოგების გამოთვლებით ხიზკიაჰუს ინჟინრები იყენებდნენ აკუსტიკური ხმოვანების ტექნიკას გვირაბის სწორი გაჭრის მიზნით. აღნიშნულ წარწერაში ხშირად იგნორირებული ბოლო წინადადება “კლდის სიმაღლე 100 წყრთით სცილდებოდა ქვისმტეხელთა თავებს” მიუთითებს ინჟინრების მაღალი ხარისხის ცოდნაზე გვირაბის ზემოთ არსებული ზედაპირის მანძილთან მიმართებაში.

[...მაშინ] (გვირაბი) გაყვანილ იქნა.

და ამგვარად მოხდა მისი გაყვანა:

- მაშინ როცა [...] ჯერ კიდევ (იყო) [...] ცულები (ნაჯახები),  
თითოეული კაცი თავის თანამოაზრესთან ერთად, და მაშინ,  
როცა

ჯერ კიდევ სამი წერთა იყო გასაყვანი,  
[გაიგონეს] კაცის ხმა, რომელიც ეძახდა  
თანამოაზრეებს, რადგან კლდეში მარჯვნივ

[მარცხნივ] იყო წინალობა. და როდესაც

გვირაბი გაყვანილ იქნა, ქვისმტეხელმა კაცებმა  
გატეხეს (კლდე), თითოეულმა კაცმა თავის თანამოაზრესთან  
ერთად,

ცული ცულის წილ; და წყალი გამოედინა  
წყაროდან 1,200 წერთა წყალსაცავისთვის,  
და კლდის სიმაღლე 100 წერთით სცილდებოდა  
ქვისმტეხელთა თავებს.

**სინუხეტის ამბავი, თარიღდება შუა ბრინჯაოს ხანით.**

**აზიური ცხოვრების აღწერა სინუხეტის ამბავიდან, შეადარე:  
ANET, გვ. 18-19.**

“ამბავი სინუხეტის შესახებ“ არა მარტო ძველი ეგვიპტის,  
არამედ მთელი ძველი აღმოსავლეთის ლიტერატურული შემოქ-  
მედების შედეგად არის მიჩნეული. მოთხრობის მთავარი გმირი,  
დიდგვაროვანი სინუხეტი, შემთხვევით მოისმენს ფარაონ ამენემხ-  
ეტ I მოკვლისა (XII დინასტია, ძვ. წ. დაახლ. 1961 წ.) და მისი შვილის,  
მომავალი ფარაონის სენუსერტ I წინააღმდეგ შეთქმულების მოწ-  
ყობის ამბავს. შეშინებული, იგი ტოვებს ეგვიპტეს და მირბის სირია-  
ში, სადაც მრავალ წელს დაჰყოფს. სიბერეში მას საოცარი ნოსტალ-  
გიის გრძნობა იპყრობს, იგი წერილში პატიებას სთხოვს ფარაონს,  
რომელიც უფლებას აძლევს სინუხეტს დაბრუნდეს სამშობლოში.

სინუხეტის ამბავი არის მსოფლიოში უძველესი ნაწარმოები,  
სადაც მოთხრობილია არა რომელიმე მეფის, ან ლეგენდარული  
გმირის, არამედ უბრალო ადამიანის ისტორია და აღწერილია მისი  
ემოციები – შიში, ნოსტალგია, დარდი სიცოცხლის უცხო ქვეყანაში

დასრულების გამო (უცხო ქვეყანაში დასაფლავება ეგვიპტელთათვის ტრადიციას, ღმერთების უდიდეს სასჯელს წარმოადგენდა).

მან დამაყენა მე მისი შვილების სათავეში. მან დამაქორწინა მე მის უფროს ქალიშვილზე. მან მომცა უფლება ამერიჩია (80) ჩემთვის სხვა ქვეყნებს შორის ქვეყანა. ეს იყო კარგი ქვეყანა, სახელად იაა. იქ იყო ლელვი და ყურძენი. მას წყალზე მეტი ღვინო ჰქონდა. უხვად იყო თაფლი, მდიდარი იყო ზეთისხილით.

ხეებზე იყო ყველა (სახის) ხილი. იქ იყო ქერი და ემერი. არანაირი შეზღუდვა არ იყო ნებისმიერი (სახის) მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე. (85) გარდა ამისა, დიდი იყო ის, რაც შემემატა ჩემდამი სიყვარულის შედეგად. მან გამხადა მე მისი ქვეყნის რჩეული ტომის მბრძანებლად. ჩემთვის პური კეთდებოდა ყოველდღიური საკვების სახით, ღვინო ყოველდღიურად გამომეყოფოდა, მომზადებული ხორცი და შემწვარი ფრინველი, უდაბნოს გარეული მცეხების გვერდით, რადგან ისინი სანადიროდ (მიდიოდნენ) ჩემთვის და დებდნენ ჩემს წინაშე ამას, ჩემი (საკუთარი) მეძებრების დაჭერილთან ერთად. მრავალი... გაკეთდა ჩემთვის, და რძე ყველა (სახის) საკვების მზადებისას.

მე გავატარე მრავალი წელიწადი და ჩემი შვილები გაიზარდნენ ძლიერ კაცებად, თითოეული მამაკაცი მისი (საკუთარი) ტომის თავკაცად. მაცნე, რომელიც მიდიოდა ჩრდილოეთით, ან ვინც წავიდა სამხრეთით **მთავარი ქალაქისაკენ** (95). მე გზად ყველას ვაჩერებდი, მწყურვალს მე მივეცი წყალი. მე დავაყენე გზაზე ის, ვინც გზა დაკარგა. მე გადავარჩინე ის, ვინც გაქურდული იყო. როდესაც აზიელებმა გაბედეს უცხო ქვეყნების მბრძანებელთა წინააღმდეგობა, მე განვიხილე მათი საქმეები. (რე)თანუს მმართველმა (100) მისი ჯარის მეთაურად მამყოფა მრავალი წელი. ყოველი უცხო ქვეყანა, რომლის წინააღმდეგაც მე წავედი, განდევნილ იქნა მისი საძოვრიდან და მისი ქებიდან. მე გავძარცვე მათი ბაკები, წამოვიყვანე მისი მაცხოვრებლები, წამოვიღე მათი საკვები და მოვაბრუნე ხალხი მათკენ (105) ჩემი ძლიერი მკლავით, ჩემი მშვილდით, ჩემი ქმედებებით და ჩემი წარმატებული გეგმებით. მე დავინახე კეთილგანწყობა მის გულში, მას ვუყვარდი მე, მან სცნო ჩემი სიმამაცე და



ჩამაყენა მისი შვილების სათავეში, როდესაც მან დაინახა, თუ ჩემი მხრები როგორ აყვავდა.

რეთენუს ძლიერი კაცი მოვიდა, რომ გავენვიე მე (110) ჩემს (საკუთარ) ბანაკში. ის იყო გმირი და მისი მსგავსი არავინ იყო და მან წინააღმდეგობა გაუწია ყველაფერ ამას. მან თქვა, რომ ის შემეზღოლებოდა მე, მას სურდა ჩემი გაძარცვა და მან დაგეგმა ჩემი საქონლის მიტაცება, მისი თანატომელების რჩევით. იმ უფლისწულმა იმსჯელა (ეს) ჩემთან ერთად და მე ვთქვი: მე არ ვიცნობ მას. რასაკვირველია, მე არ ვარ მისი მოკავშირე, (115) არ შემიძლია თავისუფლად ვიმოქმედო მის ბანაკში. ეს ის შემთხვევაა, რომ მე (ოდესმე) გამიღია მისი კარები, ან გამინადგურებია მისი ღობეები? (უფრო მეტად) ეს არის მტრობა, რადგან ის მხედავს, თუ როგორ განვახორციელებ მე შენს დავალებებს. მე მართლაც რომ ჯოგს მოწყვეტილი ხარით ვარ, სხვათა ჯოგის შუაგულში და (ამ) ნახირის ხარი მიტევს მე...

იმ ღამით მე ჩემი მშვილდი მოვჭიმე და გავისროლე ჩემი ისრები, მე თავისუფლება მივეცი ჩემს ხანჯალს და გავაპრიალე ჩემი იარაღი. როდესაც დღე გატყდა, (რე)თენუ მოსული იყო. (130) მას მოუყვანია მისი ტომები და შეუკრებია მისი (კარგი) ქვეყნის ნახევარი. ის მხოლოდ ამ ბრძოლის შესახებ ფიქრობდა. როგორც მე ველოდი ის მოვიდა ჩემთან, (რადგან) მე მის გვერდით ვიყავი. თითოეულის გული ჩემთვის იყო ანთებული; ქალები და კაცები კვნესოდნენ. თითოეულის გული ავად იყო ჩემს გამო. მათ თქვეს: “არის სხვა ძლიერი კაცი, რომელიც შესძლებს მის წინააღმდეგ ბრძოლას?” შემდეგ (მან აიღო) მისი ფარი, მისი საბრძოლო ნაჯახი, (135) და მისი მშვილდის შეკვრა. მას შემდეგ, როდესაც მე ნება მივეცი მის იარაღს გასროლილიყო, მე მისი ისრები გავატარე უაზროდ, ერთი მეორის შემდეგ. მან შემიტია მე და მე ვესროლე მას, ჩემი ისარი ჩაერჭო მას კისერში. მან დაიყვირა და დაეცა ცხვირით. (140) მე დავეცი (საკუთარი) საბრძოლო ნაჯახით და ჩემი გამარჯვების ხმა აღვავლინე მის ზურგზე, მაშინ, როცა აზიელები გლოვობდნენ. ამ მმართველმა ამმი-ენშმა ჩამიხუტა მე. შემდეგ მე წამოვიღე მისი საქონელი და გავძარცვე მისი საქონლის ბაკა. რისი გაკეთებასაც მას ჩემთვის უნდოდა, (145) მე

გავუკეთე მას. მე ავიღე ის, რაც იყო მის კარავში და გავძარცვე მისი ბანაკი. ამგვრად, მე გავხდი ძლიერი, მე გავხდი დიადი ჩემი სიმდიდრით, მე გავხდი ჩემი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვით მდიდარი.

**ეგვიპტის დიდებულთა აკლდამების წარწერები, თარიღდება გვიანი ბრინჯაოს ხანით, ძვ. წ. XV-XIII სს.**

**“აზიური ვაჭრობის სცენები თებეს აკლდამებში (რეკ-მი-რე)”, შეადარე: ANET, გვ. 248.**

მშვიდობა მოდიოდა რეთენუს უფლისწულებისგან და აზიის ყველა ჩრდილოეთ ქვეყნებისაგან, ქედი მოუხარეს მორჩილებით, თავიანთი ხარკით ზურგებზე, ისწრაფვოდნენ იმისაკენ, რომ მათ მისცემოდათ სიცოცხლის ჰაერი და სურდათ, რომ ყოფილიყვნენ მისი უდიდებულესობის მორჩილებაში, რადგან მათ იხილეს მისი ძალიან დიადი გამარჯვებები და მისმა სისასტიკემ დაიმორჩილა მათი გულები. ამჟამად, ის მემკვიდრე უფლისწულია, დიდებული, ღვთაების მამა და საყვარელი, ორი ქვეყნის ბატონის დიდად სანდო პირი, მერი და ვეზირი, რეხ-მი-რე (თუთმოს III მეფობის ხანა), რომელიც იღებს ყველა უცხო ქვეყნის ხარკს... წარმოადგენს სამხრეთ ქვეყნების უფლისწულებს შვილებთან ერთად, რომლებიც მოიყვანეს მისი უდიდებულესობისათვის საუკეთესო ნადავლის სახით, ზემო და ქვემო ეგვიპტის მეფე: მენ-ხეფერ-რე (თუთმოს III), მიეცა სიცოცხლე ყველა უცხოური ქვეყნიდან, რათა შეევესო სახელოსნოები და ჰყოლოდა მონები მისი მამის, ღვთაებრივი ამონისათვის, ორი ქვეყნის სამეფო ტახტების ბატონი, რადგან მას მიეცა ყველა უცხოური ქვეყანა ერთად მის ხელში, მათი უფლისწულებით, განრთხმულნი არიან მისი სანდლების ქვეშ...

**ტუტანხამონის წარწერა, თარიღდება გვიანი ბრინჯაოს ხანით, ძვ. წ. XIV ს.**

**“ტუტ-ანხ-ამონის აღდგენითი საქმიანობა ამარნას რევოლუციის შემდგომ”, ტექსტი, შეადარე: ANET, გვ. 251-252.**

ტუტანხამონი წარმოადგენდა ახალი სამეფოს მეთვრამეტე დინასტიის ეგვიპტელ ფარაონს, რომელიც პირობითი ქრონო-

ლოგის თანახმად, მეფობდა ძვ. წ. 1333-1324 წწ-ში. ტუტანხამონის პირველი სახელი ტუტანხათენი ნიშნავს “ათენის ცოცხალ გამოსახულებას” მაშინ, როცა ტუტანხამონი აღნიშნავს “ამონის ცოცხალ გამოსახულებას”.

ჩვეულებრივ, ტუტანხამონის სახელი ფრაზის დასაწყისში იწერებოდა ამენ-ტუტ-ანხის სახით მწერლის მიერ ღვთაებისადმი პატივისცემის ნიშნად.

1922 წლის ჰოვარდ კარტერის მიერ აღმოჩენილმა ტუტანხამონის ხელუხლებელმა სამარხმა მსოფლიო აღიარება მოიპოვა, რამაც გაზარდა საზოგადოების ინტერესი ძველი ეგვიპტის მიმართ.

... კარგი მმართველი, ასრულებს კეთილ საქმიანობას მამამისის (ამონი) და ყველა ღვთაებისათვის, მან გააკეთა, რაც განადგურებული იყო, რომ გაეძლო ძეგლს ეპოქებისთვის (5) სამარადუამოდ და მან მოსპო სიცრუე ორ ქვეყანაში და დამყარდა სამართლიანობა. ახლა, როდესაც მისი უდიდებულესობა მეფედ გამოჩნდა, ღვთაებათა და ქალღმერთთა ტაძრები ელეფანტიდან [ქვემოთ] დელტის ჭაობებამდე [...და] ნაწილებად დაიშალნენ (ან მიატოვეს). მათი სალოცავები განადგურდა, გორაკები გაიზარდა [სარეველა ბალახით]. მათი სამლოცველოები ისე იყო, თითქოს ისინი არც არასოდეს არსებულან. მათი შესასვლელები იყო საცალფეხო ბილიკი (ან გათელილი გზები). ქვეყანა იყო გადაგვარებული და ღმერთებმა ზურგი აქციეს ამ ქვეყანას. [ჯარი] გაიგზავნა დჯაჰში, რომ გაფართოებულიყო ეგვიპტის საზღვრები, ამას საერთოდ არანაირი წარმატება არ მოჰყოლია. თუკი ვინმე ლოცულობდა ღმერთის წინაშე, რომ მიეღო რჩევა მისგან, ის [საერთოდ] არასდროს ჩნდებოდა. თუკი ვინმე შესთხოვდა (ან თხოვნით მიმართავდა) ქალღმერთს ასევე, ის საერთოდ არასოდეს მოდიოდა.

### **თაზო III**

#### **ძველი აღთქმის წიგნები, როგორც ისტორიული წყარო**

ძველი აღთქმის წიგნები ძალზედ საყურადღებო წყაროა ძველადმოსავლური ისტორიის შესწავლა-რეკონსტრუქციისათვის. ბიბლიის ანონიმ ავტორებს ყურადღება გამახვილებული აქვთ სხვადასხვა ხანის იუდასა და ისრაელის ისტორიაზე, თუმცა ცალკეული თემატიკის მიხედვით არ არის დაჯგუფებული ესა თუ ის საკითხი, ან პრობლემა.

ჩვენ წყაროზე დაყრდნობით გამოვყავით გარკვეული თემები და პრობლემები, დავაჯგუფეთ ისინი შემდეგი თანამიმდევრობით;

**ურბანული ცენტრები და ქალაქური ტიპის დასახლებები ძველი აღთქმის წიგნების მიხედვით:**

#### **გეზერი (თელ-გეზერი)**

მსაჯულნი (1:29): ეფრემმა ვერ აჰყარა გეზერის ქანაანელები, ცხოვრობდნენ ქანაანელები გეზერში მათ გვერდით და ხარკს უხდიდნენ.

პირველი ნეშტა (14:16): ისე მოიქცა დავითი, როგორც ღმერთმა დაარიგა და გაბაონიდან გაზრამდე მუსრი გაავლო ფილისტიმელთა ურდოს.

მეორე მეფეთა (5:25): ისე მოიქცა დავითი, როგორც დაარიგა იგი უფალმა, და გაბაონიდან გაზრამდე მუსრს ავლებდა ფილისტიმელებს.

მესამე მეფეთა (9:15-17): ეს არის სოლომონ მეფისგან დაწესებული ზეგარა უფლის სახლისა და თავისი სახლის, მილოს, იერუსალიმის კედლის, ხაცორის, მეგიდოსა და გეზერის ასაშენებლად. ამოვიდა ფარაონი, ეგვიპტის მეფე, აიღო გეზერი და გადაწვა. ამოხოცა მისი მცხოვრები ქანაანელები, ხოლო ქალაქი მზითევში მისცა თავ-

ის ასულს, სოლომონის ცოლს. ააშენა სოლომონმა გეზერი და ქვემო ბეთ-ხორონი;

### **ხაცორი (თელ-ხაცორი)**

იესო ნავეს ძე (11:10): მაშინვე გამობრუნდა იესო და აიღო ხაცორი, და მახვილით განგმირა მისი მეფე, რადგან წინათ ხაცორი ყველა ამ სამეფოს თავი იყო.

პირველი მეფეთა (12:9): მაგრამ დაივიწყეს მათ უფალი, თავიანთი ღმერთი და ხელში ჩაუგდო ისინი უფალმა მოსე და აარონი. მათ გამოიყვანეს მამა-პაპა ეგვიპტიდან და ამ ადგილზე დაასახლეს.

მესამე მეფეთა (9:15): ეს არის სოლომონ მეფისგან დაწესებული ბეგარა უფლის სახლის და თავისი სახლის, მილოს, იერუსალიმის კედლის, ხაცორის, მეგიდოსა და გეზერის ასაშენებლად.

მეოთხე მეფეთა (15:29): ისრაელის მეფის, ფეკახის დროს მოვიდა თიგლათფილასარი, აშურის მეფე, აიღო ყიონი, აბელბეთ-მაყაქა, იანოახი, კედეში, ხაცორი, გალაადი და გალილა, მთელი ნაფთალის ქვეყანა და აშურში გადაასახლა ხალხი.

### **ლაქიში (თელ ედ-დუვიერი)**

2 ქრონიკები (11:6-10): მან (რობოამმა) ააშენა: ბეთლემი, ყეტამი, თეკოაყი, ბეთ-ცური, სოქო, ყადულამი, გათი, მარეშა, ზიფი, ადორაიმი, ლაქიში, ყაზეკა, ცარყა, აიალონი, ხებრონი (გამაგრებული ქალაქები, იუდასა და ბენიამინს რომ ეკუთვნოდა).

მეოთხე მეფეთა (18:14): შეუთვალა იუდას მეფემ, ხიზკიამ, აშურის მეფეს ლახიშში: დამნაშავე ვარ. გაბრუნდი ჩემგან. რასაც დამაკისრებ, ვიტვირთავ. დააკისრა აშურის მეფემ ხიზკიას, იუდას მეფეს, სამასი ქანქარი ვერცხლი და ოცდაათი ქანქარი ოქრო.

მეოთხე მეფეთა (18:17): გაგზავნა აშურის მეფემ ლაქიშიდან თარნანი, რაბსარისი და რაბშაკე დიდძალი ჯარით მეფე ხიზკიასთან იერუსალიმში. წამოვიდნენ და მოვიდნენ იერუსალიმში; წამოვიდნენ, მოვიდნენ და დადგნენ ზემო ტბორის არხთან, მრეცხავთა მინდვრის გზაზე რომ არის.

ესაია წინასწარმეტყველი (36:2): გააგზავნა აშურის მეფემ რაბშაკე იერუსალიმისკენ მეფე ხიზკიაჰუსთან დიდძალი ჯარით; და დადგა იგი ზემო ტბორის წყალსადინართან, მრეცხავთა მინდვრის გზაზე.

იერემია წინასწარმეტყველი (34:7): ხოლო ბაბილონის მეფის ლაშქარი შემოსდგომოდა იერუსალიმს და იუდას დანარჩენ ქალაქებს - ლაქიშს და ყაზეკს, რადგან ესენილა იყვნენ იუდას ქალაქებს შორის გამაგრებულნი (იხ. ლაქიშის ოსტრაგონი IV).

### **მეგიდო (თელ-მეგიდო)**

მსაჯულნი (1:27): მენაშემ ვერ აჰყარა ბეთ-შეანი თავის სოფლებითურთ, ვერც თაყანაქი თავისი სოფლებითა და მცხოვრებლებითურთ, ვერც დორი თავისი სოფლებითა და მცხოვრებლებითურთ, ვერც იბლეყამი თავისი სოფლებითა და მცხოვრებლებითურთ, ვერც მეგიდო თავისი სოფლებითურთ. დარჩნენ და ცხოვრობდნენ ქანაანელები ამ მიწაზე.

მსაჯულნი (5:19): მოვიდნენ მეფენი, შეიბნენ: მაშინ შეიბნენ ქანანის მეფენი თაყანახში, მეგიდოს წყლებთან, მაგრამ მცირედი ვერცხლიც ვერ მოიალაფეს.

მესამე მეფეთა (9:15): ეს არის სოლომონ მეფისგან დაწესებული ბეგარა უფლის სახლისა და თავის სახლის, მილოს, იერუსალიმის კედლის, ხაცორის, მეგიდოსა და გეზერის ასაშენებლად.

[შენიშვნა: საოცარია ის ფაქტი, რომ მეგიდო არ არის მოხსენიებული ამ პასაჟში.] მეოთხე მეფეთა (15:29): ისრაელის მეფის, ფეკა-

ხის დროს მოვიდა თიგლათფილასარი, აშურის მეფე, აილო ყიონი, აბელ-ბეთ-მაყაქა, იანოახი, კედეში, ხაცორი, გალაადი და გალილა, მთელი ნაფთალის ქვეყანა და აშურში გადაასახლა ხალხი.

მეოთხე მეფეთა (23:29-30): მის დროს გამოვიდა ფარაონი ნექო, ეგვიპტელთა მეფე, აშურის მეფის წინააღმდეგ, მდინარე ევფრატზე. გაემართა მეფე იოშია მის შესახვედრად, და მოკლა იგი ფარაონმა მეგიდოში, დანახვისთანავე. (30): წაასვენეს იგი მისმა მორჩილებმა მეგიდოდან იერუსალიმში და მის სამარხში დამარხეს. გამოიყვანა ქვეყნის ერმა იეჰოახაზი, იოშიას ძე, სცხო ზეთი და მამის ნაცვლად გაამეფა.

### **ქანანის მოსახლეობა (ქანანელები)**

დაბადება (10:19): ქანანელთა საზღვარი იდო სიდონიდან გერარის მიმართულებით ლაზამდე; შოდომ-გომორის, ადმას და ციბოიმის მიმართულებით ლაშაყამდე.

გამოსვლა (3:8): ჩამოვედი, რომ ვიხსნა იგი ეგვიპტელთაგან და წავიყვანო მაგ ქვეყნიდან მადლიანსა და ვრცელ ქვეყანაში, სადაც ღვარად მოედინება თაფლი და რძე, ქანანელთა, ხეთელთა, ამორეველთა, ფერიზეველთა, ხივიელთა და იებუსეველთა ქვეყანაში.

გამოსვლა (3:17): ვთქვი: გამოგიყვანთ ეგვიპტის სატანჯველიდან და წავიყვანთ ქანანელთა, ხეთელთა, ამორეველთა, ხივიელთა და იებუსეველთა ქვეყანაში, ქვეყანაში, სადაც ღვარად მოედინება რძე და თაფლი.

გამოსვლა (13:5): როცა მიგიყვანს უფალი ქანანელთა, ხეთელთა, ამორეველთა, ხივიელთა და იებუსეველთა ქვეყანაში, შენთვის რომ აღუთქვა უფალმა შენს მამა-პაპას, ქვეყანაში, სადაც ღვარად მოედინება რძე და თაფლი, ამ თვეს აღასრულე ეს მსახურება.

გამოსვლა (23:23): როდესაც წაგიძღვება ანგელოზი და მიგიყვანს ამორეველებთან, ხეთელებთან, ფერიზელებთან, ქანაანელებთან, ხივიელებთან, იებუსეველებთან და მე მოვსპობ მათ.

გამოსვლა (33:2): ანგელოზს წაგიძღვარებთ წინ და ავყრი ქანაანელებს, ამორეველებს, ხეთელებს, ფერიზელებს, ხივიელებს და იებუსელებს.

გამოსვლა (34:11): დაიხსომე, რასაც ახლა გიბრძანებ. აჰა, ავყრი თქვენგან ამორეველებს, ქანაანელებს, ხეთელებს, ფერიზელებს, ხივიელებს და იებუსეველებს.

მეორე რჯული (7:1): როცა მიგიყვანს უფალი, შენი ღმერთი, იმ ქვეყანაში, რომლის დასამკვიდრებლადაც მიდიხართ და მოგაშორებს მრავალრიცხოვან ხალხებს – ხეთელებს, გირგაშელებს, ამორეველებს, ქანაანელებს, ფერიზელებს, ხივიელებს და იებუსელებს – შვიდ ხალხს, შენზე მრავალრიცხოვანს და ძლიერს.

რიცხვნი (13:29): ყამალეკი ქვეყნის სამხრეთში ცხოვრობს; ხეთელები, იებუსეველები და ამორეველები მთებში ცხოვრობენ; ქანაანელები კი – ზღვისპირეთში და იორდანეზე.

მეორე მეფეთა (24:7): მივიდნენ ტიროსის ციხე-სიმაგრესთან და მოიარეს ხივიელთა და ქანაანელთა ყველა ქალაქი და გადავიდნენ იუდას სამხრეთით, ბერშებაში.

მესამე მეფეთა (9:16): ამოვიდა ფარაონი, ეგვიპტის მეფე, აიღო გეზერი და გადაწვა. ამოხოცა მისი მცხოვრები ქანაანელები, ხოლო ქალაქი მზითევში მისცა თავის ასულს, სოლომონის ცოლს.

პირველი ეზრა (9:1): ეს ყველაფერი რომ დასრულდა, მოვიდნენ ჩემთან თავკაცები და მითხრეს: არ განგდომიან ისრაელის ერი, მღვდლები და ლევიანები ამ ქვეყნების ხალხთა – ქანაანელთა,



ხეთელთა, ფერიზეველთა, იებუსელთა, ყამონელთა, მოაბელთა, ეგვიპტელთა და ამორეველთა სიბილნეებს;

მესამე ეზრა (1:21): დაგინაწილეთ ნაყოფიერი მიწები; ქანაანელე-ბი, გერიზეველები და ფილისტიმელები თქვენს თვალწინ შევმუსრე და მეტი რაღა გიყოთ? ამბობს უფალი.

ივდითი (5:16): აჰყარეს ქანაანელები, ფერიზელები, იებუსელები, შექემელები, ყველა გირგაშეველი და სახლობდნენ იქ მრავალი ხანი.

### **ბაალის კულტი ძველი აღთქმის წიგნებში:**

მსაჯულნი (6:25-32): უთხრა უფალმა იმ დამით გედეონს: წამოიყვანე მამაშენის ჯოგიდან მოზვერი და მეორე მოზვერი, შვიდწლიანი. დანგრეი ბაალის სამსხვერპლო, რომელიც მამაშენს უდგას, და მის გვერდით რომ აშერაა, აჩეხე. აუგე უფალს, შენს ღმერთს, რიგიანი სამსხვერპლო ამ კერივის თავში. მერე აიღე და დაწვი მეორე მოზვერი აღსავლენ მსხვერპლად იმ აშერას ხით, რომელსაც აჩეხავ. წამოიყვანა გედეონმა ათი კაცი თავის მსახურთაგან და ისე მოიქცა, როგორც უფალმა უბრძანა, მაგრამ თავის შინაურთა და ქალაქის მკვიდრთა შიშით ვერ გაბედა დღისით გაეკეთებინა ეს საქმე და დამით გააკეთა. ადგნენ დღით ქალაქის მკვიდრნი და რას ხედავენ: ბაალის სამსხვერპლო დანგრეულია, გვერდით რომ აშერა იყო, აჩეხილია და აღსავლენი მოზვერი იწვის ახლადაგებულ სამსხვერპლოზე. უთხრეს ერთმანეთს: ვინ ჩაიდინა ეს საქმე? მიმოდგნენ, გამოიკითხეს და თქვეს: გედეონს ჩაუდენია იოაშის ძეს. უთხრეს ქალაქის მკვიდრებმა იოაშს: გამოგვიყვანე შენი ვაჟი, სიკვდილით უნდა დაისაჯოს, რადგან დაუნგრევია ბაალის სამსხვერპლო და გვერდით რომ აშერა იყო, აუჩეხავს. უთხრა იოაშმა ყველას, ვინც მას მიუხდა: რა თქვენი დასაცავია ბაალი, რა თქვენი საპატრონოა? მისი დამცველი ამ დღითვე სიკვდილით დაისჯება. თუ ღმერთია, თავად დაიცვას თავი, რადგან გედეონის დანგრეულია მისი სამსხ-

ვერპლო. უწოდეს იმ დღიდან იერობაალი, რადგან თქვეს: თავად გაუსწორდეს ბაალი თავისი სამსხვერპლოს დანგრევისათვის.

მსაჯულნი (8:33): გედეონის სიკვდილის შემდეგ უზნეობდნენ ისრაელიანები ბაალის კვალზე და ღმერთად დაისახეს ბაალბერთი.

მესამე მეფეთა (18:19): ახლა დაგზავნე ხალხი და შემიკრიბე ქარმელის მთაზე მთელი ისრაელი, და ბაალის წინასწარმეტყველნი ოთხასორმოცდაათი კაცი, და აშერას წინასწარმეტყველნი ოთხასი კაცი, იზებელის სუფრას რომ უსხედან.

მესამე მეფეთა (18:25-29): უთხრა ელიამ ბაალის წინასწარმეტყველთ: ამოირჩიეთ რომელიმე კურატი, პირველად თქვენ გაამზადეთ, რადგან ბევრნი ხართ. ახსენეთ ღმერთის სახელი, ოღონდ ცეცხლი არ შეუნთოთ. გამოიყვანეს კურატი, რომელიც მისცა მათ, და გაამზადეს. დილიდან შუადღემდე ახსენებდნენ ბაალის სახელს და უხმობდნენ: ხმა გაგვეც, ბაალ! მაგრამ არც ხმა იყო და არც პასუხი. ხტოდნენ სამსხვერპლოს წინ, რომელიც გამართეს. შუადღისას დაუწყო მათ დაცინვა ელიამ: მაგრად დაუყვირეთ, რადგან ღმერთია იგი! ფიქრშია ალბათ, ან ვაითუ რამე უჭირს, ან გზაში იყოს. იქნებ სძინავს და გაიღვიძებს. დიდ ხმაზე გაჰყვიროდნენ და თავიანთი ჩვეულებისამებრ თავს ისერავდნენ მახვილებითა და შუბებით ისე, რომ სისხლი ჩამოსდიოდათ ტანზე. შუადღე გადავიდა, ისინი კი ისევ ქადაგად იყვნენ დავარდნილი ძღვენის შეწირვის ჟამამდე; მაგრამ არც ხმა ისმოდა, არც პასუხი, არც ჩქამი.

მესამე მეფეთა (19:18): დავიტოვებ ისრაელში შვიდი ათას კაცს: ყველა მუხლს, რომელიც არ მოდრეკილა ბაალის წინაშე და ყველა ბაგეს, რომელსაც არ უკოცნია მისთვის.

მეოთხე მეფეთა (1:2): გადმოვარდა ახაზია თავისი ზემოთვალის სარკმლიდან სამარიაში და დასნეულდა. გაგზავნა მოციქულები და დააბარა: წადით და დაეკითხეთ ბაალზებებს ყეკრონის ღმერთს, მოვრჩები თუ არა ამ სნეულებისგან?

მეოთხე მეფეთა (3:2): უკუღმართად იქცეოდა უფლის თვალში, ოღონდ არა მამამისივით და დედამისივით. მან გადააგდო ბაალის სვეტი, მამამისმა რომ აღმართა.

მეოთხე მეფეთა (17:16): დაივინყეს უფლის, თავიანთი ღვთის მცნებები, ჩამოასხეს ორი ხბოს გამოსახულებები, გააკეთეს აშერა, თაყვანს სცემდნენ ცის ვარსკვლავებს და ბაალს ემსახურებოდნენ.

მეორე ნეშტთა (28:2): დადიოდა ისრაელის მეფეთა გზით. ბაალების ქანდაკებებიც კი ჩამოასხა.

ოსია წინასწარმეტყველი (2:10): მაშინ კი არ იცოდა, რომ მე ვაძლევდი მას პურს, ღვინოს და ზეთს, რომ მე გავუმრავლე ოქრო და ვერცხლი, რომელსაც ბაალს ახარჯავდა.

ოსია წინასწარმეტყველი (2:15): მას მოვკითხავ ბაალის დღეებს, როცა გუხდრუქს უკმევდა მათ, და რგოლებითა და სამკაულებით თავს იმშვენებდა; როცა საყვარლებს დასდევდა, მე კი მივიწყებდა, თქვა უფალმა.

ოსია წინასწარმეტყველი (11:2): რაც უფრო ვუხმობდი მას, მით უფრო გარბოდა ჩემგან, რომ მსხვერპლი შეენირა ბაალებისთვის და კერპებისთვის საკმეველი ეკმია.

იერემია წინასწარმეტყველი (11:13): რადგან რამდენი ქალაქიც გაქვს, იმდენი ღმერთი გყავს იუდავ! რამდენი ქუჩაც არის იერუსალიმში, იმდენი სამარცხვინო სამსხვერპლო გაქვს აღმართული, ბაალის შესაბოლებელი სამსხვერპლო.

იერემია წინასწარმეტყველი (11:17): ცაბაოთ უფალმა, შენმა დამნერგავმა, უბედურმა გინწინასწარმეტყველა ისრაელის სახლის და იუდას სახლის ბოროტების წილ, რომელსაც სჩადიოდნენ ჩემს გასაჯავრებლად, როცა ბაალს უკმევდნენ.

იერემია წინასწარმეტყველი (19:5): აღმართეს ბაალის საკერპოები, რათა ცეცხლში დაუნვან თავიანთი შვილები ბაალას აღსავლენ მსხვერპლად, რაც არ მიბრძანებია მათთვის, არც მითქვამს, ფიქრადაც არ მომსვლია.

იერემია წინასწარმეტყველი (32:29): მოვლენ ქალდეელები, რომლებიც უტევენ ამ ქალაქს, ცეცხლში დასწვავენ ამ ქალაქს, გადაბუგავენ სახლებიანად, რომლნიც ბანებზე ბაალს უკმევდნენ და უცხო ღმერთებს უღვრიდნენ საღვრელს ჩემს გასაჯავრებლად;

იერემია წინასწარმეტყველი (32:35): ააშენებენ ბაალის გორაკებს ბენ-ჰიმონის ველზე, რომ საკუთარი ვაჟები და ასულები შეენირათ მოლოქისთვის, რაც არ მიბრძანებია მათთვის, ფიქრადაც არ მომსვლია, თუ ასეთი სიბილწის ჩადენა შეიძლებოდა იუდას შესაცდელად.

ფსალმუნნი (106:28): დაუკავშირდნენ ბაყალ-ფელორს და ჭამეს მკვდართა შესანირავი.

### **ძველი აღთქმის წიგნებში ასახული სასახლეები:**

(სპილოსძვლის ინკრუსტაციები)

მესამე მეფეთა (22:39): აქაბის დანარჩენი საქმენი, ყველაფერი, რაც გააკეთა; სპილოსძვლის სახლი, რომელიც ააშენა, ქალაქები, რომელნიც გააშენა, ისრაელის მეფეთა მატეანეშია ჩანერილი.

ამოს წინასწარმეტყველი (3:15): დავაქცევ ზამთრის სახლს ზაფხულის სახლთან ერთად, განადგურდება სპილოსძვლის სახლები და ბევრი სახლი აღიგვება, ამბობს უფალი.

ამოს წინასწარმეტყველი (6:4): განისვენებენ სპილოსძვლის სანოლზე და ნებივრობენ თავიანთ სარეცლებზე; ფარის ცხვარსა და ბაგაზე დაბმულ ხბორებს ჭამენ.

### **სამსხვერპლოები:**

გამოსვლა (20:24-26): მიწისგან გამიკეთე სამსხვერპლო და იქ შემომწირე აღსავლენი და სამადლობელი მსხვერპლი, თქვენი ცხვარი და ძროხა. ყოველ ადგილას, სადაც კი დავთქვამ ჩემი სახელის ხსენებას, გამოგეცხადები და დაგლოცავ. თუ ქვის სამსხვერპლოს გამიკეთებ, თლილი ქვისაგან არ ააშენო, რადგან მოუღერებ თუ არა კვერს, წაიბილნება იგი. საფეხურებით ნუ ახვალ ჩემს სამსხვერპლოზე, რომ არ გამოჩნდეს იქ შენი სიშიშვლე.

მეორე რჯული (27:5): აუგე იქ სამსხვერპლო უფალს, შენს ღმერთს, ქვის სამსხვერპლო. რკინა არ შეახო მას.

მეოთხე მეფეთა (16:10): წავიდა მეფე ახაზი აშურის მეფის, თიგლათფალასარის მისაგებებლად დამასკოში; ნახა სამსხვერპლო, დამასკოში რომ იყო, და გაუგზავნა მეფე ახაზმა ურია მღვდელს სამსხვერპლოს ნახატი და მთელი ნაგებობის გეგმა.

მეოთხე მეფეთა (18:4): მან გააუქმა გორაკები, დალენა სვეტები, აჩეხა აშერა და დაამტვრია სპილენძის გველი, მოსეს გაკეთებული, რადგან იმ დრომდე საკმეველს უკმევედნენ მას ისრაელიანები და ნებუშთანს უწოდებდნენ.

მეოთხე მეფეთა (23:5): გაყარა იუდას მეფეთა მიერ დაყენებული ქურუმები, რომლებიც მსხვერპლს სწირავდნენ გორაკებზე იუდას ქალაქებში და იერუსალიმის სანახებში, და ბაალის, მზისა და მთვარის, ცდომილთა და ცის მთელი ვარსკვლავეთისთვის გუნდრუკის მკმეველნი.

მეოთხე მეფეთა (11:18) (=2 მეორე ნეშტთა 23:17): შევიდა მთელი ქვეყნის ხალხი ბაალის სახლში და დაანგრის იგი სამსხვერპლოიანად, დალენეს მისი გამოსახულებანი და მოკლეს მათანი, ბაალის ქურუმი, სამსხვერპლოების წინ. დაანესა მღვდელმა ზედამხედველობა უფლის სახელზე.

მეოთხე მეფეთა (21:3) (= მეორე ნეშტთა 33:3): ისევ ააგო გორაკები, მამამისმა ხიზკიამ რომ მოსპო, სამსხვერპლოები აღმართა ბაალს, გააკეთა აშერამ როგორც ახაბ ისრაელის მეფეს ჰქონდა გაშენებული; თაყვანს სცემდა ცის ვარსკვლავებს და ემსახურებოდა მათ.

მეორე ნეშტთა (34:4): მის წინაშე დაანგრიეს ბაალის სამსხვერპლოები. აჩეხა სამზეო სვეტები, მათ ზემოთ რომ იყო აღმართული, დალენა აშერები და გამოქანდაკებული და ჩამოსხმული კერპები, მტვრად აქცია და იმათ სამარხებს გადააყარა, ვინც მსხვერპლს სწირავდნენ მათ.

იერემია წინასწარმეტყველი (11:13): რადგან რამდენი ქალაქიც გაქვს, იმდენი ღმერთი გყავს იუდავ! რამდენი ქუჩაც არის იერუსალიმში, იმდენი სამარცხვინო სამსხვერპლო გაქვს აღმართული, ბაალის შესაბოლებელი სამსხვერპლო.

**საფორტიფიკაციო ნაგებობები და დაკრძალვის რიტუალები ქველი ალთქმის მიხედვით:**

დაბადება (23:19): ამის შემდეგ დამარხა აბრაამმა სარა, თავისი ცოლი, მახფელას მინდვრის მღვიმეში, მამრეს გასწვრივ. ეს არის ხებრონი ქანაანის ქვეყნად.

დაბადება (25:8): აღესრულა და მოკვდა აბრაამი ტკბილ სიბერეში, მოხუცებული და ხანსრული, და შეერთო თავის ხალხს.

დაბადება (35:20): აღმართა სვეტი იაკობმა მის საფლავზე. ეს არის რახელის საფლავის სვეტი დღევანდლამდე.

დაბადება (50:13): წაასვენეს იგი შვილებმა ქანაანის ქვეყანაში და დამარხეს მღვიმეში მახფელას მინდორზე, მამრეს გასწვრივ, რომელიც საკუთარ სამარხად იყიდა აბრაამმა მინდორთან ერთად ყეფრონ ხეთელისგან.

დაბადება (50:26): მოკვდა იოსები ას ათი წლისა, შემურვეს იგი და ჩაასვენეს კიდობანში, ეგვიპტეში.

მსაჯულნი (8:32): მოკვდა გედეონი, იოაშის ძედი, კეთილ სიბერეში და დაიმარხა მამამისის, იოაშის სამარხში, აბიყეზერის ყოფრაში.

მსაჯულნი (16:31): ჩავიდნენ მისი ძმები და მამამისის მთელი სახლობა, აიღეს იგი და წაასვენეს და მამამისის, მანოახის სამარხში დამარხეს ცორასა და ეშთალოს შორის. იგი ოცი წელი იყო ისრაელის მსაჯული.

მეორე მეფეთა (2:32): წაასვენეს ყასაელი და დამარხეს ბეთლემს, მამამისის სამარხში; იარეს მთელი ღამე იოაბმა და მისმა კაცებმა და ხებრონში გაუთენდათ.

მეორე მეფეთა (3:31): უთხრა დავითმა იოაბს და მასთან მყოფ მთელ ხალხს: შემოიგლიჯეთ სამოსელი, შემოირტყით ჯვალს და დაიტირეთ აბნერი. მეფე დავითი თავად მიუყვებოდა საკაცეს.

მეორე მეფეთა (4:12): უბრძანა დავითმა მსახურებს და დახოცეს ისინი, ხელ-ფეხი დააჭრეს და ტბორზე გადმოკიდეს ხებრონში. ხოლო იშბოშეთის თავი აიღეს და აბნერის საფლავში დამარხეს, ხებრონში.

მეორე მეფეთა (17:23): როცა დაინახა ახითოფელმა, რომ არ გავიდა მისი თათბირი, შეკაზმა სახედარი და წავიდა სახლში, თავის ქალაქში. ანდერძი დაუტოვა სახლეულს და თავი ჩამოიღწრო. მოკვდა და მამისეულ სამარხში დამარხეს.

მეორე მეფეთა (21:14): დამარხეს საულისა და მისი ძის, იონათანის ძელები ბენიამინის ქვეყანაში, ცელაყში, მისი მამის კიშის სამარხში. ყველაფერი შეასრულეს, რაც ნაბრძანები ჰქონდა მეფეს. ამის შემდეგ მიიღო ღმერთმა ქვეყანაზე მონყალება.

მესამე მეფეთა (13:22): დაბრუნდი, პური ჭამე და წყალი შესვი იმ ადგილს, რომელზეც გიბრძანა, ნურც პურს შეჭამ და ნურც წყალს შესვამო, ამიტომ არ ჩავა შენი გვამი შენი მამა-პაპის საფლავში.

მესამე მეფეთა (13:31): დამარხა და უთხრა თავის შვილებს: როცა მოკვდები, დამმარხეთ სამარხში, სადაც ღვთისკაცი მარხია; მისი ძვლების გვერდით დაასვენეთ ჩემი ძვლები.

მეოთხე მეფეთა (9:28): ნაასვენეს მისმა მორჩილებმა იერუსალმს და დამარხეს იგი თავის სამარხში მამა-პაპის გვერდით, დავითის ქალაქში.

მეორე ნეშტთა (16:14): დამარხეს მის სამარხში, თავისთვის რომ გაიმზადა, დავითის ქალაქში. დაასვენეს იგი სარეცელზე, რომელიც აავსეს კეთილსურნელებისთა და მენელსაცხებლეთა ხელობით დამზადებული ნაირნაირი ნელსაცხებლებით. და დაუნთეს მას დიდზე დიდი კოცონი.

### **წყლის სისტემები:**

მეოთხე მეფეთა (20:20): ხიზკიას დანარჩენი საქმენი, ყველა მისი გმირობა, წყალსატევი რომ გააკეთა და ქალაქში წყალი გაიყვანა, იუდას მეფეთა მატეანეშია ჩანერილი.

მეორე ნეშტთა (32:30): მანვე, იეხიზკიაჰუმ, გადაკეტა გიხონის ზემო წყაროების სათავე და ქვემოთ ჩამოიყვანა, დავითის ქალაქის დასავლეთ მხარეზე. წარმატება ჰქონდა იეხიზკიაჰუს ყველა თავის საქმეში.

### **ჯადოქრობა და მკითხაობა ძველი აღთქმის მიხედვით:**

პირველი მეფეთა (6:4-5): თქვეს: რა უნდა შევწიროთ დანაშაულის გამოსასყიდ მსხვერპლად? მიუგეს: ხუთ-ხუთი ოქროს ბუგრი და ხუთ-ხუთი ოქროს თაგვი ფილისტიმელთა მთავრების რიცხვისამებრ, რადგან ერთია სასჯელი თქვენთვისა და ფილისტიმელთა მთავრებისათვის. გააკეთეთ თქვენი ბუგრების გამოსახ-



ულებები და თქვენი თავგებისა, რომლებიც ყანებს გინადგურებენ, და პატივს მიაგებთ ამით ისრაელის ღმერთს, ვინძლო შეამსუბუქოს ხელი თქვენზე, თქვენს ღმერთებზე და თქვენს ქვეყანაზე.

### **ძვირფასეულობა ძველი აღთქმის წიგნებში:**

დაბადება (24:22): როცა დარწყულდნენ აქლემები, ამოიღო კაცმა ერთბეკაყიანი ოქროს საყურე და ათბეკაყიანი ორი ოქროს სამაჯური.

ეზეკიელ წინასწარმეტყველი (16:12): ცხვირზე ბეჭედი და ყურებზე საყურეები გაგიკეთე, მშვენების გვირგვინი დაგადგი თავზე.

გამოსვლა (35:22): მიდიოდნენ მამაკაცები და დედაკაცები, გულუხვობით მიჰქონდათ დასამშვენებელი რგოლები, საყურეები, ბეჭდები, ყელსაბამები, ყოველგვარი ოქროს ნივთი; თითოეულს თავისი წილი შესანიშნავი ოქრო მიჰქონდა უფლისათვის.

რიცხვნი (31:50): შემოგვინიშნავს საუფლო შესანიშნავი, თითოეულმა რაც იპოვა ოქროს ნივთებიდან – საღტეები და სამაჯურები, ბეჭდები, საყურეები და ყელსაბამები, ჩვენი სულის განსანმენდად უფლის წინაშე.

მსაჯულნი (8:24): უთხრა მათ გედეონმა: ოღონდ ერთსა გთხოვთ, ყველამ თითო საყურე მომეცით თქვენი დავლიდან. რადგან ოქროს საყურეებს ატარებდნენ, რადგან ისრაელიანები იყვნენ.

მსაჯულნი (8:26): ათას შვიდას შეკელს იწონიდა გამოთხოვილი ოქროს საყურეები. მიდიანის მეფეებისათვის ართმეული ნახევარმთვარეები, ბალთები და ძონეული, მათი აქლემების კისრებიდან ჩამოხსნილი ოქროს ძეწკვები კიდევ სხვა იყო.

იგავნი სოლომონისა (11:22): გინდ ოქროს რგოლი ღორის დინგზე, გინდ უგუნური ქალის სილამაზე.

**სახელთა საძიებელი: /გეოგრაფიული სახელწოდებები/**

**ა**

აბელბეთ-მაყაქა  
 აბიყეზერის ყოფრა  
 ადმა  
 ადორაიმი  
 ავარისი  
 აზურუ  
 ათაროთი  
 აიალონი  
 აკრე  
 ამონუსერჰეტი  
 ამურუ  
 აპირუს მთა  
 არემი  
 არვადიდი  
 არმუტი  
 არნაიმი  
 არნონი  
 აროერი  
 ასური  
 აშდოდი  
 აშქელონი

**ბ**

ბაალ-მეონი  
 ბანაი-ბარქა  
 ბეთ-ამონი  
 ბეთ-ანათი  
 ბეთ-ბაალ-მეონი  
 ბეთ-დაგონი  
 ბეთ-თიბლაენი  
 ბეთლემი  
 ბეთ-შამონი  
 ბეთ-შეანი  
 ბეთცური  
 ბენიამინის ქვეყანა  
 ბენ-ჰიმონის ველი  
 ბერშება

**გ**

გაბაონი  
 გაზერი  
 გაზრა

გათი  
 გალაადი  
 გალილა  
 გეზერი (თელ-გეზერი)  
 გერარი  
 გიხონის ზემო  
 წყაროების სათავე

**დ**

დამასკო  
 დეფერი (ტუნისის რეგიონი სირიაში)  
 დიბონი  
 დჯაჰი

**ე**

ელეფანტი  
 ელთეკების (ალ-ტა-ქუ-ე) ველი  
 ელტეკეჰი  
 ელქაბი

**ზ**

ზემო რეთენუ  
 ზიფი

**თ**

თარუმენი  
 თატალია (ტფლი)  
 თიმნა (თა-ამნა-ა)

**ი**

იადი იალჰანი  
 იამაბა[თ] ლიიმმიმ  
 იანოამი  
 იანოახი  
 იარგუბი  
 იაჰამათ  
 ლიიმმიქუოთ  
 იბლეყამი  
 იერუსალიმი (ურ-სა-ლი-იმ-მუ)  
 იაჰამათ

ლიიმმიქუოთ  
 იეჰერბალი  
 იოფფა  
 ისრაელი

**კ**

კადემი  
 კადემის მთა  
 კანკანიას მთა  
 კედარის ველი  
 კედემი  
 კერეფი (პალესტინა)  
 კირი

**ლ**

ლაქიში (თელ ედ-დეფიერი)  
 ლაშაყი  
 ლახიში  
 ლიბანი  
 ლოთანი

**მ**

მამრე  
 მარეშა  
 მათი  
 მახფელას მინდორი  
 მებედა  
 მეგიდო  
 მედეზა

**ნ**

ნაფთალი  
 ნინევი  
 ნიქმადი

**ო**

ორონტის ფონი

**პ**

პარეემხები  
 პაჰელი

**რ**

რეჰემი

რეჰობი

**ს**

საადი  
სალამი  
სამარია  
სამსიმურუ  
სარრამი  
საფონი  
სიდონი  
სილი  
სირია  
სოქო  
სუფეტი

**ტ**

ტაბრიმონი  
ტიეერთა  
ტეჰნუ  
ტირ ბაალ-ტერმეგი  
ტვიროსი

**უ**

უგარი

**ფ**

ფადჯედეკუს არხი

**ძ**

ქანანი  
ქანდი (ქალაქი)  
ქარიატენი  
ქარმელის მთა  
ქაფთორი  
ქვემო ბეთ-ხორონი

**ყ**

ყადულამი  
ყაზეკა  
ყამალეკი  
ყეტამი  
ყეფრონი  
ყიონი  
ყირნი

**შ**

შაბთუნა  
შარუხენი  
შასუ  
შაფში  
შილმემატის ველი  
შიმაქი  
შიოდომ-გომორი  
შუნემი

შაბთუნა

**ც**

ცარყა  
ციბოიმი

**ძ**

ძაფონი

**ხ**

ხათი  
ხამათის ქალაქი  
ხამრია  
ხარუონენი  
ხარუს მთაგრეხილი  
ხასისსი  
ხაცორი  
ხებრონი  
ხენთიხენ-ნეფერი

**ჭ**

ჭამათი  
ჭაცორი (თელ-  
ჭაცორი)/ხაცორი  
ჭეციონი  
ჭილესბალი  
ჭორუსი  
ჭულე (ტბა)

**სახელთა საძიებელი: /საკუთარი სახელები/**

**ა**

აარონი  
აბდილითი  
აბნერი  
აბრაამი  
ადონისი  
აზეკახი  
ათთან-ფურულენი  
აიარამუ  
აკუიბი  
ამენ-ემ-ოპეტი  
ამმიენში  
ამონი  
ამონ-რე  
ამორეველები

ამურუს მენახემი (მი-  
ინი-იმ-მუ)  
ანათი  
ანი  
არამი  
არამელნი  
არელი (ან ორიელი)  
არი  
არირი  
/ათირათი/აშერა  
აქაბი  
აქატი  
აქქო  
აშერა  
აშთარ-ქემოში

ახაბი  
ახაზი  
ახატი  
ახითოფელი  
ახმოსე  
აჰირამი

**ბ**

ბაალი/ბაალზაფონი/  
დაგონის ვაჟი/ადონ-  
ზაფონი/ბაალ შამაიმი  
ბაალბერიითი  
ბაალზებები  
ბაალ-როი  
ბაენრემერი-ამონი

ბაიშამგემი  
ბაკენ-პტახი  
ბარჰადადი  
ბაყალ-ფელორი  
ბებე  
ბედული  
ბეთ-შეანი  
ბენ-ჰადადი  
ბიბლოსელი ფილო  
იუსებიუსი  
ბით-ზითთი  
ბოდემუნი  
ბოდთანითი

**ბ**

გაპნი  
გედეობი  
გედეონი  
გერიზეველები  
გირგაშელები

**ღ**

დავითი  
დიბონიტები  
დიტოს აფარ-  
დაგალი  
დიტოს შემუ ბაალი  
დოკუამი  
დუბრი

**ე**

ებენი  
ეგვიპტელები  
ედეადა  
ელათი  
ელ ბენიგნი  
ელი  
ელი დოტი  
ელიმელეს შაბნტი  
ელს ჯაზირი  
ერსი  
ეფრემი  
ემთალო  
ემშუნაზარი

**ზ**

ზარუბთუ  
ზიფფორი  
**თ**  
თარნანი  
თიგლათფილასარი  
თიუ  
თუბალუ  
თუტი

**ი**

იაა  
იაჰაზი  
იაჰვე  
იერობაალი  
იესო  
იეხიზკიაჰუ  
იეჰოახაზი  
იზებელი  
ითობაალი  
ინენა  
იოაბი  
იოაში  
იონათანი  
იოსები  
იოში  
ისრაელიანები  
იუდა

**კ**

კაგაბუ  
კაკემვერი  
**ლ**  
ლული

**მ**

მათანი  
მანოახი  
მახალ ლიბა  
მახართი  
მელუჰა  
მენაშე  
მენმაათრე  
მენხეფერ-რე  
მერნეპტახი  
მესა

მეშა  
მითინთი  
მოლოქი  
მოსე  
მუსური

**ნ**

ნახთ-ამონი  
ნებო  
ნებფეხთირე  
ნექო  
ნეხუშთან  
ნუთი

**ო**

ომბიტი  
ომრი

**პ**

პარამსესი (რამსეს I)  
პარმერხეტემი  
პენამონი  
პტახი

**რ**

რაბშაკე  
რე სეტეფენრე (სეთი II)

რეხარახთი  
რეხმირე (თუთმოს III)  
რობოამი  
როონეტი  
რუქიბთუ

**ს**

სალიბელი  
საული  
სარა  
სეთი  
სეთი მერნეპტახი (სეთი I)  
სეთ-მოსი  
სექენერე  
სარა  
სიდქია

სინახერიბი  
სინუხეტი  
სოლომონი

**ტ**

ტაატუტუსი (თოტი)  
ტაბნიტი  
ტუტანხამონი  
ტჯედეტი  
ტჯერი

**უ**

ურუმილქი  
უსერ-ხეფერუ  
უშუ (ტვიროსის  
მატერიკული  
დასახელება)

**ფ**

ფადი

ფეკახი  
ფერიზეველები  
ფილისტიმელები

**ქ**

ქალდეველები  
ქამუსუნაბდი  
ქანანელები  
ქარხონი  
ქემოში  
ქუშელები

**ღ**

ღაბსარისი

**ყ**

ყამონელები  
ყასაელი  
ყომრი

**შ**

შარონი

შარულუდარი  
შასუ  
შერდენი

**ხ**

ხიზკიაჰუ  
(ჰა-ზა-ქი-(ი)ა-უ  
ამე-ლა-უ-და'აი)  
ხოტეპხირმაატი  
ხურუ

**ჯ**

ჯეკრემი


**ც**

ცაბაოთ  
ცორა

**ჭ**

ჭილესბალი

## ილუსტრაციები



1. ქალღმერთი ანათი.




2. ასტარტა: ძვ. წ. VI ან VII საუკუნით დათარიღებულ ქანდაკებაზე ასტარტა გამოსახულია

სამეფო ტახტზე, მის გვერდით მყოფ სფინქსებს  
კი უჭირავთ ასტარტას მკერდის ქვეშ  
დადგმული თასი.



3. აჰირამის სარკოფაგი ბეირუთის ეროვნულ მუზეუმში.




4. რას-შამრაში აღმოჩენილი და ძვ. წ. XIV-XII სს.  
დათარიღებული **ბაალის** გამოსახულება,  
ზემოთ ანეული ხელით.



5. ელი გამობატულია ორ ლომთან ერთად, გებელ ელ-არაქიდან მოპოვებული დანის სახელურის უკანა მხარეს.





6. იეჭიმილქის წარწერა



8. მეშას სტელა



9. რაშაპი გამოხატულია ქეთეშის სტელაზე.



10. სინახერიბი ბაბილონური ომის დროს, სინახერიბის ნინევიის სასახლის რელიეფი.



11. ტუტანხამონის მუმის ნიღაბი



12. ჰადადის გამოსახულება.

